საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუნის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

პარასკევი, 29 დეკემბერი. 2017 წ. №263 (8400), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



გიორგი ყვესიტაძე:

ქვეყნის მომავალი პირდაპირ კავშირშია

③ **მეცნიერების ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებასთან**

④ **მაგთიკომი - ინტერნეტმომსახურების ბაზრის ლიდერი**

მაგთიკომი
MAGTICOM

ეწარე კოზინაყი!..

რუსა ქათმები არწივობენ და ვირები ბედაურობენ...

⑤

ციტრუსის ფესტივალი ქობულეთში

⑫



საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში ქ. ქობულეთის ცენტრალურ მოედანზე ციტრუსის ფესტივალი 2017 გაიმართა.

ნოდარ ახალკაცი - ძე სიცოცხლისა

⑩

გოლი - ხსოვნის კარში!..

დიდგორობაზე თურქეთის ელჩი გვიბაკუნებს ფეხებს, შემდეგ ისრაელის ელჩი დაგვიბაკუნებს!..

⑦

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ პარტნიორი ჩინური კომპანია გახდა

უმსხვილესი ჩინური კორპორაცია ZPMC-ი ანაკლიის პორტის მშენებლობაში ერთვება. კომპანიამ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ ხელი მოაწერა წინარე ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ZPMC-ი „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ უერთდება და კონსორციუმის გრძელვადიანი პარტნიორი ხდება.

შეთანხმების მიხედვით, უმსხვილესი ჩინური კომპანია პორტის მშენებლობაში მინიმუმ 50 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს და, დამატებით, ჩინურ საფინანსო ინსტიტუტებს მომავალი ინვესტიციებისთვის მოიზიდავს. ZPMC-ი ასევე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისთვის უზრუნველყოფს უახლესი, თანამედროვე სტანდარტების საკონტეინერო ამწეებისა და საკონტეინერო ტერმინალის მართვისთვის საჭირო სხვა ტექნიკის მიწოდებას.

ჩინეთის მთავრობის ახალი აბრეშუმის გზის ინიციატივის „ერთი სარტყელი ერთი გზა“ ფარგლებში, ZPMC-ი ასევე ჩინური ლოგისტიკური კომპანიების ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტსა და თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მოზიდვას უზრუნველყოფს.

ანალიის ღრმაწყლოვანი პორტის ინვესტორობასა

და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გრძელვადიან პარტნიორობასთან ერთად, ZPMC-ი ასევე აპირებს კონსორციუმის მიერ გამოცხადებულ სამშენებლო ტენდერებში მონაწილეობა მიიღოს და, გამარჯვების შემთხვევაში, პორტის სამშენებლო სამუშაოების ნაწილი განახორციელოს.

„ZPMC-ის შემოსვლა ანაკლიის პროექტში უმნიშვნელოვანესი პრეცედენტია — საუკუნის პროექტის განხორციელებაში მსხვილ ამერიკულ ინვესტორებთან ერთად მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის ქვეყანა ერთვება — ჩინური კორპორაციის სახით. საქართველო იქნება ZPMC-ის პორტფელში მეასე ქვეყანა, სადაც ის ოპერირებს. ეს არის პირველი წინარე ხელშეკრულება, რომელიც ჩინურ კორპორაციასთან გავაფორმეთ და მას აუცილებლად მოჰყვება სხვა ჩინურ კომპანიებთან შეთანხმებებიც — მათთან მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები და შედეგების შესახებ საზოგადოება ინფორმირებული იქნება“, — განაცხადა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ.

ZPMC-ი მსოფლიოში ყველაზე მსხვილი კომპანიაა, რომელიც რთული პირობებისთვის განკუთვნილ და მძიმე ტექნიკას აწარმოებს, მათ შორისაა დიდი მოცულობის საკონტეინერო და ნაყარი ტვირთის გადამზიდავი ტექნიკა, საზღვაო და სხვა ტიპის მძიმე ტექნიკა. კომპანია ასევე მოწინავეა მსოფლიოში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საზღვაო ტექნიკის მაღალი სტანდარტებით წარმოებაში.

კომპანიის მფლობელობაშია 60,000-დან 100,000 ტონის სიმძლავრის 26 გემი, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით გადაადგილდებიან. ZPMC-ის ცენტრალური ოფისი შანხაიში მდებარეობს და კომპანია შანხაის საფონდო ბირჟაზე კვოტირებს.

გამოიწერეთ 100 წლის გაზეთი, რასაც აქ წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

რექს ტილერსონი: აშშ-ს დღეს ცუდი ურთიერთობა აქვს რუსეთთან, რომელიც ბოლო ათწლეულში საქართველოში და უკრაინაში შეიჭრა

„რუსეთთან მიმართებაში აშშ-ს ილუზიები არ აქვს იმის თაობაზე, თუ რა რეჟიმთან აქვს საქმე“ — ამის შესახებ ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის რექს ტილერსონის სტატიაში, რომელიც გაზეთ The New York Times-ში გამოქვეყნდა. ტილერსონი საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის ქმედებებზე საუბრობს:

„აშშ-ს დღეს ცუდი ურთიერთობა აქვს რუსეთთან, რომელიც ბოლო ათწლეულში საქართველოში და უკრაინაში შეიჭრა და დასავლური ქვეყნების სუვერენიტეტს არჩევნებში ჩარევით ძირი გამოუთხარა“ — ამბობს ტილერსონი და აღნიშნავს, რომ **„რუსეთის აგრესიასთან მიმართებაში ფხიზლად ვართ, საჭიროა რუსეთთან მუშაობა იქ, სადაც საერთო ინტერესებია. ეს ყველაზე აშკარა სირიაშია“**.

კარასინი: საქართველოსთან ურთიერთობის აღდგენას გავაგრძელებთ

2018 წელს რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობების აღდგენას გააგრძელებს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა. გრიგორი კარასინის თქმით, 2018 წელს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავება გაგრძელდება. რუსულ

მედიასთან საუბრისას კარასინმა აღნიშნა, რომ 2017 წელს რუსეთმა საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის მეორე ადგილი დაიკავა, ტვირთბრუნვამ კი 30 პროცენტი შეადგინა. ლავროვის მოადგილემ იმ ერთობლივ პროექტებზეც გაამახვილა ყურადღება, რომელიც ორმხრივ თანამშრომლობას კიდევ უფრო გააძლიერებს. კარასინის თქმით, რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზების ტენდენცია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეინიშნება. კარასინმა საქართველო-რუსეთის საზღვარზე ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის რეკონსტრუქციაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს საზღვრის გადალახვას გაამარტივებს. მან ყურადღება გაამახვილა ნატო-საქართველოს ურთიერთობებზეც. კარასინის თქმით, ალიანსთან თბილისის სამხედრო თანამშრომლობა საქართველოს უსაფრთხოებას არ აძლიერებს.

ლიტვა საქართველოს ავთენტურ სახელწოდებად 4 ვარიანტს განიხილავს

უკვე 10 წელია, ლიტვაში მიმდინარეობს დისკუსია, რომელ სახლწოდებას დააკანონებს სეიმი საქართველოსთვის — „ქართველია“, „ქართველა“, „საქართველია“ თუ „საქართველა“.

ლიტვის სეიმის სპიკერის ვიქტორას პრანცკეტისის განცხადებით, 2018 წელს, ლიტვური სახელმწიფობრიობის აღდგენის მე-100 წლისთავთან დაკავშირებით, ლიტვამ, შესაძლოა, საქართველოს ავთენტური სახელწოდება დააკანონოს.

ლიტვური ენის სახელმწიფო კომისიის ახალმა ხელმძღვანელმა აუდრის ანტანაიტისმა მხარი დაუჭირა სეიმის სპიკერის ინიციატივას და განაცხადა, რომ სეიმიდან ან საგარეო საქმეთა სამინისტროდან ოფიციალურ წინადადებას დაელოდება. მან ასევე აღნიშნა, რომ ახალი სახელწოდების დამტკიცების შემთხვევაში, მას ძველთან ერთად მეორე ვარიანტის სახით გამოიყენებენ. ამჟამად საქართველო ლიტვურ ენაზე „გრუზიად“ მოიხსენიება.

დიმიტრი ქუმსიშვილი: წიაღის დარგის განვითარებამ საქართველოში ახალი ინდუსტრიების ჩამოყალიბებას ხელი უნდა შეუწყოს

„საქართველოს ექსპორტის 35 პროცენტი სასაქონლო პროდუქციაზე მოდის. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია წიაღისეულის სწორი, მდგრადი განვითარება. ჩვენ გვინდა, რომ დარგის განვითარებამ ხელი შეუწყოს დამატებითი ღირებულების შექმნასა და ახალი ინდუსტრიების ჩამოყალიბებას“ — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ამავე სამინისტროს სისტემაში შემავალი წიაღის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებთან შეხვედრის შემდეგ.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში საქართველოს მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად შეიქმნა. მასში გაერთიანდა ყოფილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ზედამხედველობის დეპარტამენტისა და გარემოს ეროვნული სააგენტოს ფუნქციები.

ახლადშექმნილი სააგენტო განახორციელებს სასარგებლო წიაღისეულის მართვას (მათ შორის, მასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებს) და განსაზღვრავს რეგულირების საფასურს, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების, ასევე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან დადგენილი წესით გათავისუფლებული პირის მიერ წიაღით სარგებლობის სათანადო პირობების კონტროლს.

მერაბიშვილს ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარი უთხრეს!

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭო ვანო მერაბიშვილის გათავისუფლების საკითხზე №9 პენიტენციური დაწესებულების უფროსს ზაზა ჯამატაშვილს პასუხობს.

„თქვენი შუამდგომლობის საფუძველზე გაცნობებთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს მიერ 2017 წლის 25 დეკემბერს პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარი ეთქვა მსჯავრდებულს მერაბიშვილს ივანე სერგოს ძეს.

გთხოვთ, აღნიშნულის შესახებ აცნობოთ მსჯავრდებულს და განუმარტოთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი წერილობით განცხადების საფუძველზე გადაეგზავნება აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი კანონით დადგენილ ვადაში.

პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა არ აღემატება 6 თვეს, ან/და თუ არსებობს რომელიმე განსაკუთრებული გარემოება. მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა სავალდებულოა ყოველ 6 თვეში“, — აღნიშნულია საბჭოს წერილში.

რეფორმატორი, რომელიც უკრაინას არ სჭირდება!

„სასწაულების შემქმნელი სააკაშვილის ნაცვლად, ჩვენ მივიღეთ ვირუსი, რომელმაც დააავადა უკრაინის პოლიტიკური სისტემა“, — აცხადებს უკრაინის ვიცე-პრემიერი ივანა კლიმპუშ-ცინცაძე Washington Times-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „რეფორმატორი, რომელიც უკრაინას არ სჭირდება“. მისივე თქმით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც უკრაინაში პეტრო პოროშენკოს მიწვევით რეფორმების ჩასატარებლად ჩავიდა, სინამდვილეში „რევოლუციონერი“ აღმოჩნდა.

„სასწაულების შემქმნელის ნაცვლად, ჩვენ მივიღეთ ვირუსი, რომელმაც დააავადა უკრაინის პოლიტიკური სისტემა, მას მხოლოდ საკუთარი ეგო და ძალაუფლების დაუოკებელი სურვილი ამოძრავებს“, — წერს ავტორი. აქვე ნათქვამია, რომ უკრაინას ახალი რევოლუცია აღარ სჭირდება, რადგან ის რუსეთს ებრძვის.

„სააკაშვილი მზადაა, გააფორმოს კონტრაქტი ეშმაკთან და მიიღოს დაფინანსება ოლიგარქისგან, რომელსაც ზურგს კრემლი უმაგრებს. ის რუსეთისთვის სასარგებლო თამაშშია ჩართული და მეტიც, გამიზნულად თუ წინასწარი განზრახვის გარეშე ის გახდა ინსტრუმენტი უკრაინისთვის ძირის გამოსათხრელად. ის იყოს კარგი რეფორმატორი საქართველოში, რადგან ყველაფრის გაკეთება შეეძლო, რასაც მოისურვებდა და ფასს არაფრად დაგიდევდათ. უკრაინა ასეთი არ არის და არც უნდა იყოს. ორი რევოლუცია იმისთვის გამოვიარეთ, რომ ხელისუფლებაში ასეთი ძლიერი მმართველი არ მოსულიყო. ავტოკრატი რომ გვსურდეს, დიდი ხნის წინათ დავნებდებოდით რუსეთს“, — წერს უკრაინის ვიცე-პრემიერი. მისი შეფასებით, უკრაინის ხელისუფლება უნაკლო არ არის, თუმცა მას სჭირდება ლიდერები, „რომლებიც გამოსავალს იპოვიან და არა ადამიანები, რომელთაც მხოლოდ ქაოსი მოაქვთ“.

Washington Times

თბილისში წყლის ტარიფიც გაიზარდა!!!

თბილისში საყოფაცხოვრებო სექტორისთვის წყლის ტარიფი გაიზარდა, კომერციულისთვის მცირედით შემცირდა. გამრიცხველიანებული აბონენტებისთვის 1 $მ^3$-ზე დაახლოებით, 6 თეთრით, ხოლო გაუმრიცხველიანებლისთვის 1 სულზე დაახლოებით, 75 თეთრით გაიზარდა. სემეკის გადაწყვეტილებით, მრიცხველის მქონე მოსახლეობისთვის წყლის ტარიფი იქნება 1$მ^3$ — 0.329 ლარი, უმრიცხველო მოხმარებისას (ფიქსირებული) 1 სულზე 3.89 ლარი, არასაყოფაცხოვრებო სექტორისთვის (ორგანიზაციები და კომერციული სექტორი) 1$მ^3$ — 4.40 ლარი იქნება.

დღეს დადგენილი ტარიფები ძალაში 2018 წლის 1 იანვარს შევა და 2020 წლის ბოლომდე იქნება. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ დღეს მოქმედი ტარიფები ასე გამოიყურება, მრიცხველის მქონე მოსახლეობისთვის 1$მ^3$ — 0.266 ლარი, უმრიცხველო მოხმარებისას (ფიქსირებული) 1 სულზე — 3.147 ლარი. არასაყოფაცხოვრებო სექტორისთვის (ორგანიზაციები და კომერციული სექტორი) 1$მ^3$ — 4.418 ლარი.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის წევრის გოჩა შონიას განცხადებით, წყლის ახალი ტარიფი „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ეფექტურად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

„რა თქმა უნდა, კომპანიას ყოველთვის აქვს პრეტენზია, მიიღოს უფრო მეტი, ვიდრე არის აპარატის მიერ წარმოდგენილი. ტარიფები დაანგარიშებული იყო მეთოდოლოგიის საფუძველზე და კომისიამ მიიღო ყველა ის გონივრული ხარჯი, რომელსაც საჭიროდ თვლის, რადგან ამ კომპანიამ ეფექტურად განახორციელოს ფუნქციონირება. თქვენ ნახეთ, რომ ტარიფები კომერციულ სექტორში პრაქტიკულად, არ გაზრდილა. დაახლოებით 5 თეთრით გაიზარდა დღგ-ის გარეშე გამრიცხველიანებული აბონენტებისთვის, გაუმრიცხველიანებულისთვის კი — 70 თეთრით“, — განაცხადა შონიამ.

ბიორგი კვესიტაძე: ქვეყნის მომავალი პირდაპირ კავშირშია მეცნიერების ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებასთან

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

განვლილ წელს აჯამებს

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ბატონი გიორგი კვესიტაძის ბიოგრაფიას რომ გავეცანი, სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი. როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა ამდენი კვლევის, სამეცნიერო ნაშრომის, ინოვაციური აღმოჩენის ავტორი ყოფილიყო.

ბატონი გიორგი მსოფლიოს არაერთ ინსტიტუტში გახლდათ მიწვეული, როგორც პროფესორი. მისმა სამეცნიერო ნაშრომებმა საერთაშორისო აღიარება მრავალჯერ მოიპოვა.

ჩვენი ინტერვიუც მისი ბოლო წარმატებით დავიწყეთ.

— ბატონო გიორგი, დღეს ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა მართლაც რომ საგანგაშოა. თქვენ რაიმე გამოსავალს ხედავთ?

— საქართველოს მოსახლეობის 35-40% ქვეყნის მთავარ მაგისტრალთან ახლოს ცხოვრობს. ჩვენ ვიცით, რომ ავტომობილების გამონაბოლქვი უდიდეს ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. ასეთ ადგილებში განსაკუთრებით მომატებულია ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევები. მე მაქვს ინოვაციური იდეა, თუ როგორ შეიძლება 60 პროცენტით შემცირდეს ამ გამონაბოლქვის მომწამვლელი ზემოქმედება. საჭიროა ე.წ „მწვანე ზოლის“ შექმნა ამ ტერიტორიაზე. დიდი იმედი მაქვს, რომ სახელმწიფო დაინტერესდება ამ პროექტით, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ჰაერივით სჭირდება.

აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას. ჩვენ ამაზეც გვაქვს არაერთი სერიოზული კვლევა. მაგალითად, ისეთი საოცარი ქართული პროდუქტით, როგორიცაა მაწონი, შესაძლებელია ანტიბიოტიკის გარეშე გავზარდოთ სხვადასხვა ფრინველი თუ ცხოველი, მაწონი აქტიური პრებიოტიკია, რაც იმუნურ სისტემას საოცრად აძლიერებს, ასეთი სახით გაზრდილი ფრინველი თუ ცხოველი არა მარტო ჯანმრთელია, არამედ განსაკუთრებული გემოთიც გამოირჩევა. ეს ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილი ინოვაციაა. აგრეთვე უნდა დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები ხორბლის, ყურძნის მოყვანაში. ჩვენი მიწა იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსავალი 3-4 ჯერ გავზარდოთ. თანაც ქართული პროდუქტი ბევრად უფრო სასარგებლო და ჯანმრთელია სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ამისათვის აუცილებელზე აუცილებელია, სახელმწიფო და კერძო სექტორი მხარში ამოგვიდგეს!

— ბატონო გიორგი, რას ელოდებით ახალი 2018 წლისგან?

— ჩემთვის უპირველესი მეცნიერების წინსვლაა. საბუნებისმეტყველო მეცნიერება არის პროგრესი ჩვენი ქვეყნისთვის. თანამედროვე მსოფლიოში დღეს ინოვაციური ტექნოლოგიების გარეშე წინსვლა გარდაუვალია. სწორედ ამას ვემსახურებით ჩვენც. თუმცა ჩვენი სახსრებით მხოლოდ შესაძლებლობის 20 პროცენტის გამოყენებას ვახერხებთ..

დიდი იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფო უფრო მეტად დაგვიდგება გვერდით. ახალი განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი მიხეილ ჩხენკელი უაღრესად ინტელექტუალური პიროვნებაა, რომელმაც ნამდვილად იცის მეცნიერების ფასი, რაც იმედს გვისახავს, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას სამინისტრო უფრო დიდ ყურადღებას დაუთმობს..

უდიდესი რესურსი გვაქვს, ქართველი ხალხი გამორჩეულად ნიჭიერია და საჭიროა ამ გენის ბოლომდე გამოყენება.

ჩვენს აკადემიას დიდი მიზნები აქვს და ვეცდებით, ახალ 2018 წელს ბევრ მათგანს ფრთები შევასხათ.

— რას უსურვებდით ჩვენს ხალხს?

— ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას თუნდაც რამდენიმე საფეხურით წინსვლას. მეცნიერებათა აკადემია ისევე ერთგულად გააკეთებს თავის საქმეს, როგორც ამას წლების განმავლობაში აკეთებდა.

ჩვენი ქვეყნის მომავალი წარმატება პირდაპირ კავშირშია მეცნიერების ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებასთან. იმედს ვიტოვებთ, რომ ახალი 2018 წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და შობას, დაე, ახალი წელი ჩვენი ეროვნული მიზნების განხორციელების და მშვიდობის წელიწადი ყოფილიყოს. ღმერთმა დაგლოცოთ!

ესაუბრა
რუსუდან ქოგულია

მართალია, სათანადოდ არ ფასდება ჩვენი სფერო, მაგრამ ქვეყანა წინ ვერ წავა მეცნიერების გარეშე. მოვა დრო და ამას აუცილებლად მიხვდებიან. მანამდე კი ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ აკადემიას ძველი დიდება დავუბრუნოთ.



格奥尔基·科维谢塔兹先生：

您在我省工作期间成绩显著，特授予“齐鲁友谊奖”。

山东省人民政府
二〇一七年十一月

Mr. Giorgi Kvesitadze

In recognition of the remarkable achievement you have made during your work in Shandong Province, “Qilu Friendship Award” is hereby presented to you.

People’s Government of Shandong Province
November, 2017

ბიორგი კვესიტაძის აღიარების ფურცელი

— მეცნიერება სოფელს! თქვენი აზრით, როდის დადგება ფეხზე ქართული სოფელი.?

— ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად მიწვევენ ესპანეთის სხვადასხვა ინსტიტუტში. მინდა, ერთი პარალელი გავავლო საქართველოსა და ესპანეთს შორის. წლების წინათ მათთანაც მსგავსი პრობლემები იყო. სოფელი იცლებოდა და მოსახლეობა ქალაქებისკენ მიეშურებოდა. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ისინი მიხვდნენ მიწის ფასს და დღეს ყველაფერი პირიქითაა, ხალხი სოფელს აქტიურად უბრუნდება. ესპანეთს კი მოწინავე ადგილი უკავია მსოფლიო მიწათმოქმედებაში.

მე მჯერა, რომ ქართველი ხალხი, მალე გაიაზრებს, თუ რამხელა საგანძური გვაქვს და სოფელს დაუბრუნდება!

საქართველო უნიკალურია თავისი ბიომრავალფეროვნებით. ჩვენში 1100 მარტო ენდემური ჯიშის მცენარე არსებობს, ამ ერთ ციცქნა მიწაზე თითქმის ყველაფერია, მაშინ როცა მთელ ალპებში 350 ენდემური სახეობა გვხვდება.

იმისთვის, რომ ხალხი მიწას დაუბრუნდეს, პირველ რიგში საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. მეცნიერებათა აკადემია თავის თავზე იღებს ვალდებულებას, რომ ქვეყანაში მოახდინოს ტექნოლოგიური მოდერნიზაცია.

ჩვენ შევქმენით მიწის კომისია და თუ დღეს ქართულ მიწას ისე ადვილად ვეღარ ყიდიან, როგორც რამდენიმე წლის წინათ, ამაში დიდი წვლილი სწორედ აკადემიას მიუძღვის.

მაგთიკომი – ინტერნეტმომსახურების ბაზრის ლიდერი

საქართველოში ინტერნეტ-მომხმარებელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება, სულ უფრო მეტი ადამიანი ერთვება საკომუნიკაციო ქსელის მომხმარებელთა რიგებში და ბუნებრივია, რომ მათ სჭირდებათ ისეთი მომსახურება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

კომპანია მაგთიკომი ამ მიმართულებითაც ლიდერი კომპანია გახდა. ინტერნეტბაზარზე ოპერირების დაწყებიდან სულ რაღაც წელიწადსა და 4 თვეში, კომპანიამ შესძლო ლიდერის პოზიცია დაეკავებინა.

2017 წლის ნოემბრის მდგომარეობით, მაგთიკომის ინტერნეტაბონენტების რაოდენობა 288005-ს შეადგენს. ოფიციალური მონაცემებით, ბაზარზე მეორე ადგილს იკავებს სილქნეტი.

ეს ცვლილებები კი მართალი გითხრათ, საკმაოდ მნიშვნელოვანი და მოულოდნელი იყო, რაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ მონაცემებშიც აისახა.

ლიდერის პოზიცია ინტერნეტმომსახურების ბაზარზე მაგთიმ ბაზარზე შესვლიდან სულ მცირე დროში – წელიწადსა და 4 თვეში მოიპოვა. საინტერესოა, თუ რამ განაპირობა ასეთი წინსვლა.

წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორც დედაქალაქში ისე რეგიონებში ინტერნეტქსელის ინტენსიური განვითარება გახდა.

მაგთიკომმა ინტერნეტქსელის განვითარებისთვის ასეულობით მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა და დღეისათვის მაგთიკომის ინტერნეტქსელი 27 ქალაქშია წარმოდგენილი.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, ინტერნეტქსელის პროტექტირება გახდა.

უწინ არამოდერნიზებული ინტერნეტქსელი დაუცველი იყო და წყვეტის შემთხვევაში ვერ ხერხდებოდა სწრაფი რეაგირება და მიწოდების აღდგენა (ალბათ ბევრი ჩვენგანი წაწყდომია მსგავს პრობლემას).

მაგთიკომმა უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით ქსელის მრავალჯერადი დაცვა უზრუნველყო, რაც ქსელის ერთი ფიზიკური კომპონენტის დაზიანების შემთხვევაშიც კი ავტომატურად ირთვება ალტერნატიული ქსელი და სერვისის მიწოდება შეუფერხებლად გრძელდება.

უახლესი ტექნოლოგიების დანერგვამ მომსახურებისა და განვითარებისთვის უდიდესი შედეგი მოიტანა.

მაგთიკომმა უახლესი ტექნოლოგიებით და აპარატურით აღჭურვა ქსელი, რამაც მისი მდგრადობა, ტევადობა და გამტარუნარიანობა გაზარდა. დღეს მაგთიკომის ინტერნეტი ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაზეა დაფუძნებული, რაც ნებისმიერ სხვა ტექნოლოგიასთან შედარებით, ინტერნეტთან წვდომის ყველაზე მაღალ სიჩქარეს გულისხმობს.

ბუნებრივია, რომ ჩვენთვის, მომხმარებლებისთვის, უმთავრეს შეკითხვას წარმოადგენს ის, თუ რა სარგებლობა მოაქვს მაგთიკომის ლიდერ პოზიციაზე ყოფნას.

დღეს 288 000-ზე მეტ ოჯახს თბილისსა თუ რეგიონში შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს ინტერნეტით და IP ტელევიზიით. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ინტერნეტიზაციის პროცესი გრძელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში კიდევ უფრო მეტ ოჯახს გაუჩნდება წვდომა ინტერნეტთან, რომლის გარეშეც დღეს, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ცხოვრება და განვითარება წარმოუდგენელია.

გია გაბრიჭიძე



	Jan,17	Feb,17	Mar,17	Apr,17	May,17
სილქნეტი	268,148	268,877	271,488	272,080	274,033
მაგთიკომი	181,716	181,810	225,293	229,630	232,940
ახალი ქსელები	41,326	40,450	43,166	42,628	42,165
CGC	24,760	24,211	23,419	22,813	22,644
Total	515,950	515,348	563,366	567,151	571,782

Jun,17	Jul,17	Aug,17	Sep,17	Oct,17	Nov,17
276,077	276,894	275,328	277,921	277,599	277,576
239,679	244,442	247,681	264,057	276,509	288,005
41,820	41,422	40,067	39,833	38,324	37,812
22,268	21,390	20,704	21,114	20,833	20,043
579,844	584,148	583,780	602,925	613,265	623,436

◎ **განმეორება ცოდნის დედაა!**

თეთრი სიკვდილი

დიდი ხნის უნახავს ზედ ხეივნის დასაწყისში გადავეყარე.

არადა, უცხოეთში მეგონა გადახვეწილი, ან... ჯვარი წერია და, საიმქვეყნოდ გადაბარგებული.

გადავეხვიეთ, გადავკოცნეთ და გავიჭედე, სახელი ვერა და ვერ მოვიგონე.

ქარხანაში ერთად რომ ვმუშაობდით იმან მიშველა, იმ ხანად მეტალურგობა დიდი ღირსება იყო.

სათქმელ-მოსაგონებელიც, იცოცხლეთ ბევრი და ბევრი მოგვიზავთდა, უფრორე იმ ქვეყნად გადასახლებულთ, გულდასაწყვეტ, არადა ფრიად საპატივცემულო, ღირსეულ, საყვარელ ქალვაჟთ ვიგონებდით.

ანაზდად მარცხნივ გაიხედა და...

– შეხე, თეთრი სიკვდილი მოდის, ეგ კიდევ ცოცხალიაო? – თანაც გაიკვირვა.

– ხომ არ გაგიჟდი, თეთრი სიკვდილი კი არა, ეგ მიხეილია თაბუკაშვილი, – მიამიტურად შევეპასუხე. არადა, თეთრ სიკვდილს მარიხუანას ეძახიან.

– კაცს, 5 ბინა აქვს, მათ შორის ერთი კერძო, ისიც სამსართულიანი, ჰოდა, უცოლშვილოდ, უძიროდ რომ დაბერდება, თეთრი სიკვდილია, მაშ რაღა ოხრობააო. მერე მოახლოებულს ხელი ჩამოართვა, როგორ ხარ თეთრო სიკვდილოო, პირში მიახალა.

მე კი გამკრა რაღაცამ გონებაში. ჟურნალისტს ეგ რა კარგი საკბილო გადმომიგდო-მეთქი.

არადა, ჩემი ქალაქის ბერბიჭების დარდმა კალამი გამიჭაღარავა.

ჯერ იყო და ოთხასამდე რომ ჩამოვითვალე, ეგრევე ვრცელი წერილი გავაშანშალე, აკი დამიბეჭდა გაზეთმა.

ჩვენს პარლამენტარს, პაატა მხეიძეს წავაკითხე, ეგ კია დიდი უბედურება, ვიფიქრებ, იქნებ რამე მოვუხერხოთო, მაგრამ მათ პარლამენტი კი არა, ლავრენტი ბერია რომ გააცოცხლო, ვეღარ უშველისო, მითხრა ერთმა ჭირგამოვლილმა ერისკაცმა. ეგ თეთრი სიკვდილი კია, მაგრამ ერთი და ორი კაცის კი არა, ერის სიკვდილია, ქვეყანა გადაგვარდება, აგერ გაიხედ-გამოიხედე, რა ხდება, ამ უშვილძირობის ნამოსახლარს, სხვები ეპატრონებიანო. თან მირჩია, კარგად გადაითვალე, ორჯერ მეტი არ გამოგივიდესო.

ასეც მოვიქეცი, ჰოდა, კინაღამ გადავირიე, ლამის გაორმაგდა ჩემი ჩამონათვალი. მეც ცხელ გულზე ხელახლა გავაშანშალე წერილი, გული მოვიფხანე, თორემ...

ეგ ერთხელ ხომ დაგიბეჭდეთო, მითხრეს, ჰოდა, სანაგვეში გადაუძახეს. ვითომ საქმე მოკვარახჭინებული იყოს, არადა, ერთ დროს ნახევარი მილიონი ტირაჟის მქონე გაზეთს ხელმომწერი თოვლივით შემოადნა. ასე იცის, როდესაც შობადობას სიკვდილი სჭარბობს.

ასეა ჩვენს ქვეყანაში, თითქოს სხვისი ჭირი იყოს, დღეს საკუთარი ჭირიც ღობის ჩხირია, ისიც მიშიკოს დააქვს უკრაინის ქუჩებში და ზოგჯერ სახურავებზეც ააქვს.

ჰოდა, იმ ჩემს ძველ მეტალურგ მეგობარს ხელჩაქნევით ვუთხარი:

– ჩვენ კაცურად გვიცხოვრია რუსთავ-ქალაქში, ახლა საუკუნეს მივუკაკუნეთ, სხვებმა იკითხონ-მეთქი.

– შენ ეგრე გგონიაო, – მომიტრიალდა, – აქ რომ სხვატომელები ჩამოსახლდებიან, იმათ საფლავებიც დასჭირდებათ, ჰოდა, მოგვდგებიან და ჩვენს ძვლებსაც ამოყრიანო.

შემაფუცხუნა, ასეც იქნება, მზამზარეულ, მარმარილოებით ციხე სიმაგრესავით ნაგებ სასაფლაოებში თავიანთ მიცვალებულებს ჩამარხავენ, ჩვენს ძვლებს კი იქვე, მოდუდუნე მტკვარს ბარათაშვილის ლექსებივით გააყოლებენ.

„იხარე ჭერო, მოკვდი მტეროო!“ – მარტო ამის ძახილი ქვეყანას ვერ გადაარჩენს.

დროა, კი არა, მგონი გვიანაც არის, მაგრამ გამოფხიზლება მაინც არ არის გვიანი.

გამოვფხიზლდებით კი?

გივი ჯაახუა,
რუსთავი-თბილისი

„ველო სანტები“ თბილისის ქუჩებში

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ორგანიზებით საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, პროექტმა „ველო სანტები“ პეკინის ქუჩის ველობილიკიდან სტარტი აიღო, რომელიც 31 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

პროექტის ფარგლებში, სანტები დედაქალაქის მასშტაბით, ათივე რაიონში გადაადგილდებიან, თბილისის მერიის სახელით მოსახლეობას ტკბილეულს დაურიგებენ, დამდეგ შობა-ახალ წელს

მიულოცავენ და საახალწლო განწყობას შეუქმნიან.

პროექტის პირველ დღეს სანტებმა ვაკის, საბურთალოს, დიდუბის, ჩუღურეთის, მთაწმინდისა და ნაძალადევის რაიონები მოიცვეს, 29 დეკემბერს კი, სანტები გლდანი-ნაძალადევის რაიონში გადაადგილდებიან.

30 დეკემბერს, პროექტი ისანი-სამგორის რაიონში, ხოლო 31 დეკემბერს კრწანისის რაიონში განხორციელდება.

„ხარს ვგევარ ნაიალაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ, ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარიც ამას ვდუდუნებ“!..

ვაჟა

როცა ქათმები არწივობენ და ვირები ბედაურობენ...

ერთი სიტყვით, ქართველი ინტელიგენცია, იშვიათი გამონაკლისების გარდა, იმ მაიმუნის ქანდაკებას ჰგავს, რომელსაც თვალზე ლიბრი აქვს, ყურებში ბამბა და ენაზე ბოქლომი, ანუ ვერაფერს ხედავენ, არაფერი ესმით და არაფერს ამბობენ ჭორვილელის ჭირვეულად უმოქმედობაზე. ამ წაყრუების გამო დამდგარ მოსალოდნელ სავალალო შედეგზე კი, ადრე თუ გვიან, მათაც მოუწევთ პასუხისგება, ან აქ, მიწაზე, ან იქ, ზეცაში!..

„აჰა, კიდევ ერთი ახალი წელიწადი... რა მოვუ-ლოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან დანანებით ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედ!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს... რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

ისე ეხმიანება ჩვენს დღევანდელ ყოფა-ცხოვრებას ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური შედევრი, რომელიც 1887 წლის 31 დეკემბერს გამოქვეყნდა გაზეთ-ჟურნალ „ივერიაში“, თითქოს ამ საახალწლოდ დაუწერიაო საქართველოს უგვირგვინო მეფეს...

თუმცა ქართველთა მაშინდელ სატკივარს საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ არა თუ მოაკლდა რამე, არამედ, პირიქით, ისეთები და იმდენი დაემატა, რომ დიდი ილია, ალბათ, „საფლავში ბრუნავს“!..

წინამდებარე წერილის სათაურიდან თუ პროლოგიდან გამომდინარე, მკითხველი უთუოდ მიხვდება, რომ სტატიის ავტორი სულაც არ გახლავართ წინა საახალწლო საზეიმო განწყობაზე ისევე, როგორც ასიათასობით ჩვენი თანამემამულე, რომელთაც ძველის მსგავსად ახალ წელსაც ნახევრად მშიერსა და გათოშილს მოუწევს არა ცხოვრება, არამედ არსებობისთვის ბრძოლა და ამიტომ მათ მიმართ ნაძალადევი, ყალბი მილოცვებით ვერ დავიღვრები, შეურაცხყოფას ვერ მივაყენებ...

წინამდებარე წერილს განვლილი წლების მანძილზე მომხდარი ფაქტებიდან გამომდინარე შექმნილი სურათის წარმოჩენის მოკრძალებული პრეტენზია აქვს მხოლოდ. ჰოდა, ვინც ელემენტარულ საღ აზრთან მწყრალად არ არის, დამეთანხმება, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი, ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი ყოფიერების ყველა მიმართულებით უმძიმეს ვითარებაში ვართ:

სამშობლო გაგლეჯილ-გამოგლეჯილი; მართლმადიდებელი სარწმუნოება შეგინებული; ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი შეურაცხყოფილი; ქართველი ქალი ლეჩაქახდილი; მამაკაცები ღირსებააყრილნი; ტრადიციული ქართული ოჯახის ინსტიტუტი მასხრად აგდებული და, აქედან გამომდინარე, ლიბერასტ სატანისტთა მიერ ჩვენი შვილების პავლიკ მოროზოვის იდეოლოგიით (უკვე აღარავის უკვირს, შვილი მამას პატრულში უჩივის ყურის აწევისა თუ დატუქსვის გამო) მოწამვლის არც თუ წარუმატებელი მცდელობები; ნარკომანია-პროსტიტუცია, მამათმავლობა, ფაქტობრივად, ლეგალიზებული, და ა.შ. ეს იმ ნაგვის, უზნეობათა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ბოლო 20 წლის მანძილზე ლიბერალური დემოკრატიის დროშით დასავლეთიდან შემოვიდა საქართველოში!

ახალი წლის დამდეგს ამთავითვე უნდა ვაღიაროთ, რომ ადრე თუ ლიბერასტული იდეოლოგიის შემოტევებს მეტ-ნაკლები წარმატებით ვიგერიებდით, გასულ წელს ქართველმა საზოგადოებამ ხლისტებთან ბრძოლა წავაგეთ!

თანაც ისე წავაგეთ, რომ **„ხვალინდელის ნისლში“** საიმედო არაფერი ჩანს. ჰოდა, აბა – **„რა გითხრათ, რით გაგახაროთ“?**

„ჩოხების გამო ვინც ატრაკებს, ყველა დასაცინი და ბნელია. ჩოხა წმინდა სამოსი კი არა, მეცხრამეტე საუკუნის პერანგი და პიჯაკია. დღეისთვის მოდიდან გადასული, მეცხრამეტე, გინდაც მეთვრამეტე საუკუნეში გეებს (ხო, არსებობდნენ, თქვენ წარმოიდგინეთ) **ჩოხა არა მარტო ეცვათ, ზოგჯერ გახდა ეზარებოდათ და ჩოხაშივე ტ...ნაურობდნენ და ბილწავდნენ „წმინდა სამოსს“...**

უეჭველად ამაზეა ნათქვამი: „პედერასტივით თავხედი“, ანდა, „პედერასტზე თავხედი არავინ და არაფერია“ – ეს სენტენციად ქცეული ჭეშმარიტებანი ციხეში, ე.წ. შავი სამყაროს წიაღშია შობილი და მართლაც, სხვა რა უნდა ვუწოდოთ ცნობილი ქათმის ნიკა გვარამიას ფეისბუქ-სტატუსებს, თუ არა იგავმიუწვდომელი თავხედობა, რისთვისაც ახია, რომ მინიმუმ თავყბა დაალეწოს კაცმა, ხოლო კანონმა ვირის აბანო უნდა ახეხინოს ამ სახედარს, მაგრამ სადაა პატრონი?

ანუ სადა ხართ, ქოცების ხელისუფლების უსახო სახეებო?

თითოეულს, ალბათ, ჩოხა-ახალუხები გიკიდიათ „შიფანერკაში“, რომელთაც „პრაზდნიკებზე“ იცვამთ „სამარიაჟოდ“ , რატომ, პასუხს არ სცემთ ღორის გაგდებულ გვარამიას თუნდაც იმისთვის, რომ ამ ქათამმა ეგ თქვენი ჩოხა-ახალუხი საჯაროდ შეურაცხყო?

ხელისუფლება ვახსენეთ და მათი უსახო სახეები, რომელთა სახელი ლეგიონია...

ამას წინათ დავფიქრდი, საკუთარ თავს კითხვა დავუსვი, ამ ლეგიონიდან ვინმეს ვცემ პატივს?

ბევრი ვიფიქრე, თავს ძალაც დავატანე, მაგრამ ასეთი ვერავინ გავიხსენე და თქვენ ხალხო, ვინმეს სცემთ პატივს ხელისუფლებაში?

სამწუხაროდ, ეს კითხვა ბოლო წლებია, რიტორიკულია და იმიტომაც ვზივართ ნეხვში, რომ მდინარაძეებს, კობახიძეებს, თალაკვაძეებს, ჩუგოშვილებს, „ეფრეიტორ“ ლომჯარიებს, „კაპიტან“ გიგაურებს და ა.შ. სხვა უსახო სახის ლიბერასტ ლაწირაკებს აბარიათ ქვეყნის მართვის სადავეები!

ქვეყნისა, რომლის გმირული ისტორია გაუნათლებლობიდან შობილი უვიცობის გამო არ იციან!

ან თუ იციან, კიდევ უარესი – სამშობლო არა სტკივათ და ამიტომ ფეხებზე ჰკიდიათ ის, რომ **„ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“**

ცალკე საუბრის თემაა ბიძინა ივანიშვილის ბაგაზე დაბმული ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელიც სიტყვით ყველაფერ ლიბერასტულს გმობს, ზემორე ჩამოთვლილი ქოცების უსახო სახეებსაც „დიდი სიყვარულით“ იხსენიებენ, მაგრამ, როდესაც შეახსენებ, რომ ჩუგოშვილები, კობახიძეები, მარგველაშვილები და ა.შ. სხვა მრავალი ხლისტი ბუდარა-ბუდარიხები ივანიშვილის მოთრეულები არიან „ქართულ ოცნებაში“, უკეთეს შემთხვევაში, უმალ ხელებს გაასავსავებენ, ყველა დამნაშავეა, გარდა ბიძინა ჭორვილელისა... ხოლო უარესში მამა-მარჩენალისადმი პირად ერთგულებაზე დაიწყებენ ღნავილს და იმას კი ვეღარ ხვდებიან, რომ ამ ერთგულებით, ნებით თუ უნებლიეთ, სამშობლოს ორგულობენ?!

ანუ სად არის აქ ელემენტარული ლოგიკა თუ საღი აზრი?

სად და იმ მსუყე „კარმუშკაში“, რომელსაც „ქართუ ბანკის“ ბანკომატი ჰქვია!..

ზოგადად, ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა, მაამებლობის, კონფორმიზმის, კუჭის ფილოსოფიის კლასიკური გამოხატულებაა და, ალბათ, ამიტომ უწოდა „დიდმა ლენინმა“ მაქსიმ გორკისადმი სარენტოში გაგზავნილ წერილში ინტელიგენციას, Интелигенция ни цвет а гавно наций, ანუ ინტელიგენცია ერის რჩეული ნაწილი კი არა, ნეხვია!

ჩვენი მხრით კი, დავამატებთ, რომ, დასავლეთის შემოქმედთაგან განსხვავებით, რომლებიც რაც უფრო დიდი ხელოვანები არიან, მით უფრო შორს უჭირავთ თავი ხელისუფალთაგან, ქართველი შემოქმედნი პირიქით, იშვიათი გამონაკლისების გარდა, რაც უფრო დიდები არიან, მით უფრო ბევრ ვაზელინს მოიხმარენ!

ისინი, ვინც დღეს ბიძინა ივანიშვილს უძვრებიან, ადრე მჟავანაძეს, შევარდნაძეს და პატიაშვილს უძვრებოდნენ.

ერთი სიტყვით, ქართველი ინტელიგენცია, იშვიათი გამონაკლისების გარდა, იმ მაიმუნის ქანდაკებას ჰგავს, რომელსაც თვალზე ლიბრი აქვს, ყურებში ბამბა და ენაზე ბოქლომი, ანუ ვერაფერს ხედავენ, არაფერი ესმით და არაფერს ამბობენ ჭორვილელის ჭირვეულად უმოქმედობაზე. ამ წაყრუების გამო დამდგარ მოსალოდნელ სავალალო შედეგზე კი, ადრე თუ გვიან მათაც მოუწევთ პასუხისგება, ან აქ, მიწაზე, ან იქ, ზეცაში!..

პატრიარქის მოწამვლა უნდოდათ თუ შორენა თეთრუაშვილის მოკვდინება, ორივე შემთხვევაში საპატრიარქოში ჩაბუდებული მეუფე პეტრეს ე.წ. ფსევდორეფორმატორები მომძლავრდებოდნენ. ფსევდო, რადგან მათი „რეფორმის“ არსი ის არის, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია როგორმე დააყენონ ლიბერასტულ რელსებზე, ისევ შეიყვანონ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, რომელიც თავის დროზე დავტოვეთ, როგორც ეკუმენისტური გაერთიანება, რაც ერესი, მწვალებლობაა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის.

იგივე კონტექსტშია გასააზრებელი, ე.წ. მსოფლიო პატრიარქის ბართლომეოსის მიერ კუნძულ კრეტაზე გამართული მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელში მონაწილეობას ესწრაფვოდნენ ქართველი მეუფე ყანდურნი, მაგრამ, მათი მეცადინეობის მიუხედავად, ილია მეორემ უარი განაცხადა კრეტაზე საქართველოს ეკლესიის დელეგაციის ჩასვლაზე ისევე როგორც რუსეთის, ბულგარეთის და რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიებმა თქვეს უარი, რადგანაც საფუძვლიანი ეჭვი არსებობდა, რომ კუნძულ კრეტაზე იმაზე კი არ იქნებოდა კამათი, თუ ნემსის წვერზე რამდენი ეშმაკი ან ანგელოსი დაეტევა, არამედ იმაზე მსჯელობა დაიწყებოდა, თუ როგორ უნდა გამხდარიყვნენ ზემოთ ხსენებული ეკლესიები ზოგადად ლიბერალურები, საიდანაც ერთი ნაბიჯია სოდომის ცოდვის მიმართ ლოიალობამდე. მით უმეტეს, რომ კუნძულ კრეტაზე ის პროტესტანტული ეკლესიებიც ჩავიდნენ, რომლებიც არა თუ ლოიალობას იჩენენ სოდომიის მიმართ, არამდე კაი ხანია, რაც ერთნაირსქესიანი წყვილების ჯვრისწერის საიდუმლოსაც ასრულებენ!..

ზემოთ, ბართლომეოსის მიმართ, როცა ტერმინი „ეგრეთ წოდებული“ ვიხმარე, ის მქონდა უზურში, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანული სამყაროს წინამძღოლად, მხოლოდ ნომინალურად ითვლება კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) პატრიარქი, რომლსაც არა თუ რაიმე სერიოზული გავლენა აქვს მართლმადიდებელ სამყაროში, არამედ მას იმის უფლებაც კი არა აქვს, რომ სტამბოლში არსებული საპატრიარქოს ღობის მიღმა, საეკლესიო შესამოსელით გამოვიდეს ქალაქის ქუჩებში, ეს ერთი და მეორე, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) საპატრიარქო, სავარაუდოდ, ერთი მხრივ, თურქეთის და, მეორე მხრივ, აშშ-ის სპეცსამსახურების დაფინანსება კონტროლის ქოლგის ქვეშაა შეფარებული, თორემ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 99% მუსულმანია, მსოფლიო საპატრიარქოს არსებობას დაუშვებდნენ თურქები?

ამავე ოპერიდან იყო ტელეიმედის ამასწინანდელი ვიზიტი სტამბოლში და მსოფლიო პატრიარქთან ჩაწერილი ინტერვიუ, სადაც ბართლომეოსი ყოველგვარ ზღვარს გადავიდა, უწოდა რა კუნძულ კრეტაზე საქართველოს ეკლესიის ჩაუსვლელობას მართლმადიდებლობის უპატივცემულობა და იქვე მოუწოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ხელახალი გაწევრიანებისკენ, რაც პირადად მე, ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქის შეურაცხყოფად აღვიქვი, რადგან არავის, მით უმეტეს, როგორც ამბობენ, ცეერუს აგენტ ბართლომეოსის საქმე არ არის, საქართველოს პატრიარქი სად ჩავა და სად შევა!

ეს ყველაფერი კი ერთი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლებია, რომელთა საერთო მიზანი ის არის, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რუსეთის ეკლესიასთან ევქარისტული კავშირი გაწყვიტოს, რაც, ერთი მხრივ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე უარის თქმის ტოლფასია და, მეორე მხრივ, რადგან ფაქტობრივად რუსეთის პატრიარქი კირილია მსოფლიო პატრიარქი, როგორც უდიდესი და უმდიდრესი ეკლესიის მესაჭე, ხოლო რუსეთი მესამე რომია, მისგან ქართული ეკლესიის შორს ყოფნა და, შესაბამისად, ბართლომეოსებთან დაახლოება, ადრე თუ გვიან, ქართული ეკლესიის ერთიანი სხეულის დაშლას გამოიწვევს ისევე, როგორც დაიშალა საბერძნეთის ეკლესია!

არადა, რატომ, რისთვის? რადგანაც როცა **„ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად – ჩვენი სისხლი, რა გითხრათ, რით გაგახაროთ“?..**

ზემოთ, ხლისტებთან ბრძოლა წავაგეთ-მეთქი და, მართლაც, მაგრამ საბედნიეროთ, ჯერჯერობით, მხოლოდ ბრძოლა და არა ომი, მაგრამ ეს „ჯერჯერობით“ უსასრულოდ ვერ გაგრძელდება!

მთავარი ბრძოლა, როგორც ჩანს, მომავალი წლის 17 მაისს მოგველის...

საქართველო, რუსეთისა და ბელორუსიის მსგავსად, ის მართლმადიდებელი სახელმწიფოა პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ვერაფრის დიდებით (თუ ვერაფრის დოლარებით?) ვერ ჩაატარეს გეიაღლუმი, რაც უკვე აშკარა გაღიზიანებას იწვევს დასავლეთის ლიბერასტულ წრეებში?!

ალბათ, სწორედ ამიტომ შეიტანა ოფიციალურად ქოცების ხელისუფლებამ მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში 17 მაისს ჰომოფობიასთან ბრძოლის დღის აღსანიშნავად საჭირო ღონისძიებათა ჩატარება, რაც ჩვენებურ ენაზე ლგბტ პედერასტების აღლუმის გამართვით რუსთაველის პროსპექტის წაბილწვას ნიშნავს...

ისე, ცნობისათვის, ხელისუფლებამ ამ მიმართებით გენერალური რეპეტიცია უკვე გაიარა ა.წ. ივლისში, როდესაც პოლიციური კორდონით უზრუნველყო ნაცების უპრობლემოდ ჩავლა პლეხანოვზე!

დიახ, გენერალური რეპეტიცია, რადგან გეიპარადი და ნაცების საპროტესტო სვლა ქუჩაში, ერთი და იგივეა!

თუმცა, იქნებ ყველა ნაცი პედერასტი არ არის, მაგრამ ყველა პედერასტი რომ ან ნაცია და ან ნაცების გულშემატკივარი, ეს უეჭველია...

სულ ახლახან სახალხო დამცველად მართლმადიდებლობის მტრის, „ეფრეიტორ“ ლომჯარიას დანიშვნით მომავალი 17 მაისის საერთაშორისო მხარდაჭერაც გაინაღდა ქოცების ხელისუფლებამ.

სავარაუდოდ, იგივე პოლიციის სამმაგი კორდონით აპირებენ მომავალ 17 მაისს პედერასტების უსაფრთხოების უზრუნველყოფას რუსთაველის გამზირზე.

ჰოდა, მერე რა, რომ...

„ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენი კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრეს, გვულიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით. მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომს, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველებისა, შუბის წვერით, ისრითა და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შეჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

მართლაც ცოდოა, რომ ეს ქვეყანა, ქრისტეს კუნძული, ჩვენი სამშობლო, ლგბტ პედერასტებს დავუტოვოთ საჯიჯგნად!

იმის იმედად, რომ უფალი ჩვენი იესო მაცხოვარი არ გაწირავს საკუთარი დედის წილხვედრ ივერიას, ახალ წელს გილოცავ „ჩემო კარგო ქვეყანავ“...

დავით მხეიძე

◎ სახელმწიფო ბიუჯეტი

დახარჯონ, ოღონდ სიკეთე ჰქმნან!

ახალი 2018 წლის დასაწყისიდან სამთავრობო ხარჯის დაფინანსებაც ახალი განწესით იწყება, რომელსაც, სხვანაირად, სახელმწიფო ბიუჯეტი ეწოდება. მისი საბოლოო ვარიანტი პარლამენტს ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ წარუდგინა და 111 დეპუტატმა მომავალი წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს მხარი დაუჭირა.

ამრიგად, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯისთვის, 2018 წელს მთლიანად 9 მილიარდ 720,9 მილიონი ლარია გათვალისწინებული, საიდანაც მოხელეთა და აპარატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე მილიარდ 141 მილიონი ლარის გასავალი იქნება, საქონლისა და მომსახურების შეძენაზე – მილიარდ 201 მილიონი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე – 3 მილიარდ 493 მილიონი ლარი და სხვ.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების სხვებზე დიდ და მნიშვნელოვან მომხმარებლებს, მათ შორის ყველაზე მეტი ფული **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს** აქვს გამოყოფილი – 3,5 მილიარდი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 112,2 მილიონი ლარით მეტია.

სამ-ნახევარი მილიარდი ლარიდან 2,4 მილიარდი ლარი სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფაზეა გამოყოფილი, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსებაზე – 983,4 მილიონი ლარი, დანარჩენი შედარებით მცირე თანხები სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე, შრომისა და დასაქმების სისტემების რეფორმირების პროგრამასა და სხვაზე დაიხარჯება.

სახელმწიფო ბიუჯეტის სიდიდით მეორე მხარჯველი სტრუქტურა **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროა,** რომლის 1,8-მილიარდიანი დაფინანსება მთელი 557 მილიონი ლარით აღემატება 2017 წლის ინდიკატორ მაჩვენებელს. სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხის თითქმის სამი მეოთხედი (72 პროცენტი, ანუ 1,3 მილიარდი ლარი) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას მოხმარდება. დანარჩენი ფული რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის, ასევე წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-შეკეთებისთვის დაიხარჯება.



მხარჯველთა ბოლო „პრიზიორია“ **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,** რაც, ნაწილობრივ, მისთვის აწ უკვე გაუქმებული სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს გარკვეული ფუნქციების დამატებითაა განპირობებული. 2018 წელს მის განკარგულებაში 1,2 მილიარდი ლარი იქნება, საიდანაც ყველაზე მეტი ფული (678 მილიონ ლარზე მეტი) ზოგადი განათლების დაფინანსებას მოხმარდება. დარჩენილი თანხა კი პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამების, მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სხვა მიმართულებების დაფინანსებაზე დაიხარჯება.

ბიუჯეტის უდიდეს მხარჯველთა სამეულს **თავდაცვის სამინისტრო** მოჰყვება, რომლისთვის 2018 წელს 100 მილიონი ლარით მეტი გამოიყო. ერთობ საგულისხმოა ის გარემოება, რომ 802 მილიონიდან ლომის წილი – დაახლოებით ნახევარი – შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯება.

თითქმის 570 მილიონი ლარის განმკარგავი იქნება **შინაგან საქმეთა სამინისტრო,** რომლის წლიური ბიუჯეტი 2018 წელს (მცირედით, სულ 35,4 მილიონი ლარით) შემცირდება. ეს გარემოება იმითაა განპირობებული, რომ სამთავრობო რეფორმების პროგრამის შესაბამისად მას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო სიტუაციების მართვისა და სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი გამოეყო.

სამთავრობო ცვლილებების შედეგად საგრძნობლად გამსხვილდა **სოფლის მეურნეობის სამინისტრო,** რომელსაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გაუქმებული სამინისტროს ბევრი ფუნქცია გადაეცა. მისი 2018 წლის ბიუჯეტი 274,8 მილიონი ლარით განისაზღვრა, საიდანაც ყველაზე მეტი ფული (82,2 მილიონი ლარი) ერთიან აგროპროექტს მოხმარდება, ხოლო 61,7 მილიონი ლარი – სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისა და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობას. სახსრების ხარჯვა ასევე გათვალისწინებულია მცენარეთა დაცვასა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობისთვის, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისთვის.

მოიმატა ასევე მასშტაბურად გაზრდილი **კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს** ბიუჯეტმაც, რომელსაც გაუქმებული სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფუნქციების ნაწილი გადაეცა და ის 285,3 მილიონი ლარით განისაზღვრა.

რაც შეეხება დანარჩენ სახელმწიფო სტრუქტურებს, **საგარეო საქმეთა სამინისტროს** ბიუჯეტი 2018 წელს 120,9 მილიონი ლარი იქნება, **იუსტიციის სამინისტროსი** – 63 მილიონი ლარი, **ფინანსთა სამინისტროსი** – 82,3 მილიონი ლარი, **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსი** – 150 მილიონი ლარი და ა. შ.

ოთარ ტურაბელიძე

„ქამრების შემოჭერა“ საკონსტიტუციო სასამართლოში

სასამართლოს თავმჯდომარისთვის 176 150 ლარის ღირებულების TOYOTA LAND CRUIZER-ი იყიდეს!

2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისთვის 176 150 ლარის ღირებულების Toyota Land Cruizer-ი შეიძინეს. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI-ის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაშია აღნიშნული, 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საკონსტიტუციო სასამართლოს ბალანსზე სულ ირიცხება 15 ავტომობილი, რომელთაგან 10 განპიროვნებულია მოსამართლეებზე, ხოლო 2 –განპიროვნებულია სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსებზე. ამასთან, როგორც წერილით ირკვევა სასამართლოს ბალანსზე ირიცხება 2001 წელს შესყიდული mercedes benz e 230 მოდელის ავტომობილი, რომელიც დაკარგულია და შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს ძიებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე განპიროვნებული ავტომობილები					
ავტომანქანის მოდელი	გამოშვების წელი	შესყიდვის თარიღი	შესყიდვის ფასი	ნარჩენი ღირებულება	განპიროვნებულია
Toyota Land Cruizer	2016	06.02.2017	176150	176150	სასამართლოს თავმჯდომარე
Toyota COROLA	2017	29.03.2017	37172	37172	სასამართლოს თავმჯდომარე
Toyota Land Cruizer-200	2011	2011	113652.00	37277.86	თავმჯდომარის მოადგილე
Toyota Land Cruizer-200	2013	20.06.2013	124970.00	68983.44	თავმჯდომარის მოადგილე
TOYOTA RAV 4	2016	02.12.2016	69850.00	62026.80	მოსამართლე
TOYOTA RAV 4	2016	02.12.2016	69850.00	62026.80	მოსამართლე
Toyota CAMRY	2016	06.02.2017	62059	62059	მოსამართლე
Toyota CAMRY	2016	06.02.2017	62059	62059	მოსამართლე
Toyota CAMRY	2017	10.03.2017	55622	55622	მოსამართლე
TOYOTA RAV 4	2017	06.07.2017	67424	67424	მოსამართლე

„2012-2017 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს ავტოპარკის განახლებაზე ყველაზე დიდი თანხა დაიხარჯა 2017 წელს – 460,5 ათასი ლარი და 2016 წელს 179,5 ათასი ლარი. კერძოდ, 2016-2017 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის შესყიდული იქნა 8 ავტომობილი. მათ შორის ყველაზე ძვირადღირებულია 2017 წელს 176 150 ლარად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის შესყიდული Toyota land cruiser -ის მოდელის ავტომობილი. სხვა მოსამართლეებისათვის 2016-2017 წლებში შესყიდულია Toyota CAMRY-ის და TOYOTA RAV4-ის მოდელის ავტომობილები, რომელთა შესყიდვის ფასი 55 ათასიდან 70 ათას ლარამდე მერყეობს“, – აღნიშნულია კვლევაში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილების „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ მიხედვით, ყველაზე მაღალი კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილის ზღვრული ღირებულება (ავტომანქანის ფასს +100 000 კმ-ზე საწვავის ფასი +სერვისის ღირებულება) განისაზღვრა 47,000$ ექვივალენტი ლარით. სასამართლოს თავმჯდომარის ავტომობილის შესყიდვის დღეს (2017 წლის 6 თებერვალი) მოქმედი კურსით (2.6816), მთავრობის დადგენილებით დასაშვები ზღვრული ღირებულება შეადგენდა 126 035 ლარს. შესაბამისად, ამ ავტომობილის მხოლოდ შესყიდვის ფასი დაახლოებით 50 ათასი ლარით აჭარბებს, საქართველოს მთავრობის მოთხოვნებს. ცხადია, მთავრობის დადგენილების მოთხოვნები სავალდებულო სახით არ ვრცელდება სასამართლო ხელისუფლებაზე, თუმცა მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული კარგი ადმინისტრირების სტანდარტი შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მათ შორის სასამართლოს მიერაც, როგორც ამას თვითონ დადგენილებაც უთითებს.

საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია

2017 წლის 27 დეკემბრის №261 გაზეთში გამოქვეყნებულ გურჯაანი-თელავის (30კმ) საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროექტისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვის განცხადებაზე დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული განხილვა ჩატარდება 2018 წლის 21 თებერვალს 11:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მის: თელავი ერეკლე II გამზ. №1 და 13:00 საათზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მის: გურჯაანი ნონეშვილის გამზირი №13. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge

თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების გამგეობების შენობებში ბეჭდური ვერსია.

გთხოვთ, წერილობითი შ\ენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ:
მაია ვაშაკიძე ტელ: 593 32 30 77;
ელ. ფოსტა: maya_vashakidze@yahoo.co.uk
ბია სოფაძე ტელ: 599 93 92 09;
ელ. ფოსტა: gia.sopadze@georoad.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

რედაქცია
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3.
293-13-34; 599 797679

კაცური კაცი

სახელმწიფო ადამიანმა შექმნა, ადამიანი — ღმერთმა. ადამიანების სიყვარული, მათთვის ბედნიერების მინიჭება უფრო მაღალი რანგის ვალდებულებაა, ვიდრე ნებისმიერი მოხელის თანამდებობა. ამ პრინციპით ცხოვრობს სიტყვის კაცი, ფესვმაგარი, გულმართალი, თხემით ტერფამდე ქართველი, ქალაქ რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა მხეიძე.

რუსთაველებმა მას ნდობა გამოუცხადეს და სჯერათ, რომ მათ იმედებს გაამართლებს, რადგან პროფესიონალია და საქმის კარგად მცოდნე. მეგობრობაში და კაცობაში უღალატოს, რაღაც სხვანაირი ხიბლი აქვს და უშურველად გასცემს სითბოსა და სიკეთეს. ეხმარება ყველას, შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს ადამიანებისათვის.

ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება აქვს ჩაფიქრებული. ზოგი უკვე ხორციელდება. მისი ძირითადი მიზანია, ქალაქი რუსთავი გადააქციოს თავისუფალ ეკონომიკურ ზონად, რისთვისაც დღე და ღამ შრომობს და განახორციელებს კიდეც.

ამ დღეებში პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ უახლოეს მომავალში აპირებს, საქართველოს პარლამენტში შეიტანოს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად. პირველი საკითხი შეეხება იაღლუჯის მთის მასივში გასულ წლებში არსებული მებაღეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთებზე საკუთრების მოგვარებას და მეორე — საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების დაკანონებას, რომლებსაც მოქალაქეები სათანადო დოკუმენტების არარსებობის გამო საკუთრებაში ვერ იფორმებენ და იმედი აქვს ამ საკითხებს პარლამენტი დადებითად გადაწყვეტს.

ღირსეული ადამიანების დაფასებაც კარგად გამოსდის. წარსულის გარეშე რომ მომავალი არ არსებობს, ამის უამრავ მაგალითს აძლევს მომავალ თაობას. რუსთავი 1926 წელს დაბადებულთა აშენებული ქალაქია, აქ მთელი საქართველოა, რადგან საქართველოს ყველა კუთხის ახალგაზრდების მობილიზაცია მოხდა.

უდაბურ ადგილზე, სადაც ერთი ბუჩქიც არ ხარობდა, მხოლოდ ქარი ბობოქრობდა, მოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი ფურცელი ჩაწერეს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის ისტორიაში.

მათ „კადრის მუშებს“ ეძახიან. თითო ოროლაღა თუ შემორჩა ცოცხალი, სხვები უკვე გზა მართალს დაადგა.

არავის უფიქრია, ღირსეული პატივი მიეგო მათთვის.

პაატა მხეიძის ინიციატივით მალე ქალაქ რუსთავში იმ 5000 კაცის პატივსაცემად მათი ხსოვნის მემორიალი გაიხსნება.

უმრავლოს საქართველოს პაატა მხეიძისნაირი კაცები.

უდიდესი მადლობა მას, ღირსეულ კაცს, რომელიც ღირსეულად ატარებს კაცური კაცის სახელს.

მზია ანთიძე, ნიჭიერი ახალგაზრდების ინტერესთა დამცველი და მხარდამჭერი ასოციაციის პრეზიდენტი; **გივი ჯახუა,** ჟურნალისტი; **გურამ ძაშაკაშვილი,** მეტალურგი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე; **ნათელა მუხულიშვილი,** რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენოსანი, ქ.რუსთავის საპატიო მოქალაქე; **გია ტყეშელაშვილი,** მსახიობი, ქ.რუსთავის საპატიო მოქალაქე; **ალმარი ლომიძე,** ჟურნალისტი.

◎ თავისუფლება ლომთა ხვედრია!

დიდგორობაზე თურქეთის ელჩი გვიბაკუნებს ფეხებს, შემდეგ ისრაელის ელჩი დაგვიბაკუნებს!..

2018 წელს საქართველო მნიშვნელოვან თარიღს, პირველი ქართული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავს დღესასწაულობს. პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 2018 წელი თავისუფლების წლად გამოაცხადა და გახსნა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე“.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სწორედ ასი წლის წინათ, 1918 წელს ჩვენმა წინაპრებმა შესაძლებლობის მიცემისთანავე დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოაყალიბეს, შექმნეს პირველი ქართული რესპუბლიკა, რომელმაც მხოლოდ სამი წელი იარსება. ამ რესპუბლიკამ მოწინავე იდეებით, მოწინავე ფორმით დაიწყო არსებობა და დანერგა ის მაღალი სტანდარტები, რაც იმ პერიოდში დებატების საგანი იყო ევროპაში. ეს გახლდათ სიკვდილით დასჯის გაუქმება, პატიმართა უფლებები, ადამიანის უფლებები.

„შემდეგ იყო 70-წლიანი ოკუპაცია. ამ 70 წლის განმავლობაში არც ერთ ეტაპზე საქართველო ბოლომდე არ იყო დაპყრობილი, რადგან არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ურთულეს პირობებში ტოტალიტარულ სახელმწიფოში სწორედ პიროვნული გმირობის ხარჯზე იცავდნენ დამოუკიდებლობის იდეას“, — აღნიშნა პრეზიდენტმა და იქვე დასძინა, რომ **„ჩვენი მიზანია დამოუკიდებლობის თავისუფლებად ქცევა“**.

რამდენად ვამართლებთ დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყნის სტატუსს, როცა თითოეულ ჩვენს ნაბიჯს, სადაც ჯერ არს, იქ ზომავენ?!

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, თუკი ჩვენ ეროვნულ დღესასწაულს ვერ აღვნიშნავთ და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებას ვერ ვღებულობთ, მაშინ რითი ვართ თავისუფლები? თავისუფლება მხოლოდ ის არ არის, უცხოური ოკუპაციისგან გათავისუფლდე და უცხო ქვეყნის ტანკები არ იდგეს შენთან. თავისუფლება ბევრად უფრო ფართო ცნებაა. ილიას თქმისა არ იყოს, თავისუფლება ის არის, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ მხოლოდ პრაგმატული სახელმწიფოებრივი ეგოიზმის პრინციპებით ვიხელმძღვანელოთ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას.

„ჩვენ სახელმწიფო ვართ საერთოდ? ჩვენს დღესასწაულ დიდგორობაზე თურქეთის ელჩი გვიბაკუნებს ფეხებს. შემდეგ ისრაელის ელჩი დაგვიბაკუნებს, ამის მერე ამერიკის წარმომადგენელი გაეროში რაღაცას იტყვის და ჩვენები უკვე ყურებზე დგანან. აწ გარდაცვლილი პროფესორის ლევან თოიძის ბრწყინვალე წიგნია საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის შესახებ. **1921 წელს თავისუფლება დავკარგეთ იმიტომ, რომ არავინ დაგვეხმარა. ე.წ. ყველა ჩვენმა მეგობარმა ზურგი შეგვაქცია. საფრანგეთმა განაცხადა ერთა ლიგაში, კი ბატონო, მე ვემხრობი საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ ჯარს ვერ გავგზავნი იქ და, თუ ვინმე გაგზავნის ჯარს, მეტაშს დავუკრავო. ინგლისის წარმომადგენელმა კი თქვა, თქვენი ვექილი ვარ, მაგრამ ჯარს ვერ გამოვგზავნიო. ყველამ ზურგი შეგვაქცია. ამას დაემატა ის ფაქტიც, რაც ქვეყნის შიგნით ხდებოდა, ნახევარი საქართველო მოღალატე იყო — აქ იყვნენ ბოლშევიკები, შულავერის კომიტეტი, ორჯონიკიძეები და სხვები. თითქმის ყველანი ბერიას და სტალინის აგენტები იყვნენ. ჩემს წინაპრებს შორის არავინ ყოფილა ბოლშევიკი, ყველა მათგანი დახვრიტეს“,** — აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

მანვე მცდარად მიიჩნია მოსაზრება, თითქოს მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად არაფერი იღონეს. სოსო ცინცაძის თქმით, მენშევიკებმა გააკეთეს ის, რაც შეეძლოთ. მათ ჯარი არ ჰყავდათ, ერთი გვარდია ჰყავდათ და ის გვარდიაც 1924 წელს აჯანყდა, ვალიკო ჯუღელის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის და სხვების მონაწილეობით. თუმცა მენშევიკებს რისი გაკეთება შეეძლოთ, როცა ევროპამ საქართველო მოატყუა.

„ნოე ჟორდანიას მოადგილე, თანაშემწე გახლდათ მამაჩემის ძმა და ვიცი, ოჯახში რა განწყობაც სუფევდა. თებერვლის რევოლუცია რომ მოხდა, პირველი რევოლუცია, ანუ „სოციალ-დემოკრატების“ რევოლუცია, ნოე ჟორდანიას მეგობრები და თანამებრძოლები ბოლშევიკებმა ამოწყვიტეს რუსეთში. ჟორდანია მაშინ თვლიდა, რომ ქართული „სოციალ-დემოკრატია“ უნდა ყოფილიყო რუსული დიდი „სოციალ-დემოკრატიის“ ნაწილი, ჩვენ უნდა ვყოფილიყავით დემოკრატიული რუსეთის კონფედერაცია, თუ ფედერაცია. რატომ გააგდეს „სოციალ-დემოკრატებმა“ სტალინი თბილისიდან? — რადგან მოითხოვდნენ უფრო მეტ დამოუკიდებლობას. ამიტომაც სტალინს ჭირის დღესავით ეჯავრებოდა თბილისი, მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდა თბილისში. **სამწუხაროდ, დღევანდელ ჩვენს თითო-ოროლა ისტორიკოსს „ქართული ოცნება“ უფრო პატრიოტად მიაჩნია, ვიდრე „სოციალ-დემოკრატები“.**

„სახალხო ფრონტის“ ყოფილი ლიდერი **ნოდარ ნათაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა ძალიან მძიმე მომენტში გამოაცხადა და ამაში ჩვენი ევროპელი მეგობრების რჩევაც ერია. მიუხედავად იმისა, რომ **ზოგიერთებს ჰგონიათ, თითქოს მენშევიკები საქართველოს ორგულები იყვნენ, ნოდარ ნათაძე მიიჩნევს, რომ, პირიქით, მენშევიკები აბსოლუტურად ერთგულები იყვნენ. რაც დრო გადის და მიჩქმალული საარქივო მასალები ამოდის, მით უფრო ვლინდება ეს ფაქტები.**

„პოლიტიკური არარსებობის შემდეგ მოვიპოვეთ თავისუფლება. საბჭოთა კავშირში ყოფნისას ყოველდღიურად ვიბრძოდით ამ თავისუფლებისთვის, არ ვეგუებოდით ოკუპაციას. 1990 წლის 9 მარტს მიღებული გვაქვს კანონი, სადაც წერია, საქართველო არის დაპყრობილი და, ფაქტობრივად, ანექსირებული ქვეყანა. ჩვენ უკვე საკანონმდებლო აქტში გვიწერია, რომ საქართველო იყო თავისუფალი და 1921 წელს რუსეთმა ხელახლა დაიპყრო. სამწუხაროდ, დავკარგეთ დამოუკიდებლობა, რადგან რუსეთმა დაგვიპყრო და ევროპაც არ მოგვეხმარა. ევროპამ მხოლოდ იურიდიულად გვაღიარა, მეტი არაფერი შეეძლო, ჩვენი გულისთვის დიდ ომს არავინ დაიწყებდა“, — აღნიშნა ნოდარ ნათაძემ, რომლის აზრითაც, ამჟამად ჩვენ ვართ სრულფასოვანი, დამოუკიდებელი, გაეროს წევრი სახელმწიფო, მერე რა, რომ წლების განმავლობაში იდიოტები გვყავდნენ ქვეყნის სათავეში.

მანანა ნოზაძე

„ვიდეოს გავრცელება პოლიციელების ქმედების გამართლების მცდელობაა საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან“

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრი ქეთევან მსხილაძე აცხადებს, რომ მაუწყებლის მიერ პოეტ ზვიად რატიანთან დაკავშირებით შსს-ს ვიდეომასალის გავრცელება პოლიციელების ქმედების გამართლების მცდელობაა და ის ამ საკითხით აუცილებლად დაინტერესდება ბორდის სხდომაზე.

„ჩვენ შეხვედრა გვაქვს საგარეოთვალყურეო საბჭოში ბიუჯეტთან დაკავშირებით, თუმცა ვაპირებ ამ საკითხით აუცილებლად დავინტერესდე. საბჭოს ოფიციალური სხდომა ხვალაც არის 11 საათზე და აუცილებლად გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას ამ ვიდეოსთან დაკავშირებით. ასეთი ვიდეოს გავრცელება დაუშვებელი იყო. ჩემთვის ამ ვიდეოს გავრცელება იყო პირდაპირი მცდელობა, რომ პოლიციელები გაემართლებინათ. ვიდეოს რაღაც ნაგლეჯი გავრცელდა, ისე გაუშვეს, რომ ეჭვიც კი არ შეიტანეს, ეს ვიდეო სრულად ასახავდა ყველაფერს, თუ არ ასახავდა. ვიმეორებ, ამ ვიდეოს გავრცელება პოლიციელების ქმედების გამართლების მცდელობაა საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან. ამასთან, ცხადია, იყო საზოგადოების თვალში იმ მოვლენების არასწორი ასახვა, რაც მოხდა რატიანის შემთხვევაში. მაყურებელი და მსმენელი შეცდომაშია შეყვანილი“, — განაცხადა მსხილაძემ „პირველ რადისოთან“ საუბარში.

ჩინური „აბრეშუმის ახალი გზა“ კავკასიაზეც გადის

საქართველოს მნიშვნელობა პეკინის მეგაპროექტში და ფოთის პორტის პერსპექტივა

„აბრეშუმის დიდი გზის“ ახალი პროექტის რეალიზებისას ჩინეთი ძველ ტრადიციებს ეყრდნობა, მაგრამ რით ხელმძღვანელობს პეკინი – ხისტი გეოსტრატეგიული ინტერესებით თუ მასში ნოსტალგიაც არის გამოხატული?

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მიოდრაგ სორიჩის მიერ თბილისიდან გაკეთებული რეპორტაჟის ქართულენოვან რეზიუმეს:

როცა საქმე ეკონომიკას ეხება, ჩინეთის მთავრობა სწრაფად ფიქრობს და მოქმედებს. მუშაობის ასეთი სტილი ექსპორტის სფეროზეც ვრცელდება. ამჟამად ჩინური საქონლის ექსპორტის უდიდესი ნაწილი ევროპის ქვეყნებში საზღვაო გზით ხვდება, მაგრამ პეკინი ალტერნატიულ სახმელეთო მარშრუტებსაც ეძებს.

ოთხი წლის წინათ ჩინეთის ლიდერმა სი ძინპინმა ახალი მეგაინიციტივის – „აბრეშუმის ახალი დიდი გზის“ პროექტის დაწყება გამოაცხადა, რომელიც ჩინეთიდან დასავლეთის მიმართულებით სხვადასხვა სატრანსპორტო დერეფნებით სარგებლობას ითვალისწინებს: მაგალითად, რუსეთის და ბელარუსის, ან შუა აზიის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით, ან ალტერნატიული სახმელეთო მარშრუტით სარგებლობას პაკისტანის გავლით, ინდოეთის ოკეანისაკენ და იქიდან – საზღვაო გზით ევროპაში.

პეკინმა რამდენიმე მარშრუტი შეარჩია. რომელი იქნება მათგან ყველაზე მომგებიანი, ყველაზე სასარგებლო გზა ჩინეთისათვის? ამაში „აბრეშუმის ახალი დიდი გზის“ პროექტის სავარაუდო მონაწილე ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებიან.

მაგრამ ბევრი რამ ჯერ მხოლოდ იწყება, პირველ რიგში, დაფინანსების საკითხი: როგორც ამას წინათ ჩინეთის პრემიერმა თავის კოლეგებთან შეხვედრისას განაცხადა ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, უახლოეს წლებში პეკინი ინფრასტრუქტურისათვის სამ მილიარდ დოლარს გამოყოფს. ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოებს ძალიან ჭირდებათ ინვესტიციები და მზად არიან, კონკურენციაში ჩაერთონ. ასევე ბალკანეთის ქვეყნებს უძლიერდებათ იმის შეგრძნება, რომ ისინი ევროკავშირმა „დაივიწყა“ და ამიტომ იმედის მზერა ჩინეთისაკენ მიმართეს. მართალია, პეკინი ბრიუსელის ალტერნატივად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ჩინეთთან ურთიერთობა მაინც სასარგებლოა.

თუ როგორი უნდა იყოს სატრანსპორტო დერეფნები, პეკინი ამ საკითხის გადაწყვეტისას საქართველოს საკვანძო როლის შემსრულებელ ერთ-ერთ ქვეყნად მიიჩნევს. საქართველო ჩინური პროდუქციისათვის ერთგვარი ჰაბი უნდა გახდეს და არა მხოლოდ თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, არამედ იმითაც, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ეს ქვეყანა უცხოელ ინვესტორებს საუკეთესო პირობებს სთავაზობს: **საქართველოში ნაკლებია ბიუროკრატიული ბარიერები, სახელმწიფო ინსტიტუტები ნორმალურად მუშაობს, არ არის კორუფცია, ეკონომიკა მდგრადია და სტაბილურად იზრდება.**

2014 წლის ივნისში საქართველომ ევროკავშირთან ხელი ასოცირების შეთანხმებას მოაწერა. მიმდინარე წლის მაისში თბილისმა და პეკინმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმეს. დღეს საქართველო, სხვებთან შედარებით, ჩინეთისათვის უნიკალური პირობების მქონე ქვეყანას წარმოადგენს: მას მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები აქვს როგორც „შუა სახელმწიფოსთან“ (ანუ ჩინეთთან), ასევე ევროპის კავშირთან.

პეკინი მილიონებს ხარჯავს იმისთვის, რომ თბილისს ჩინეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდეს. კომპანია Hualing Group საქართველოსთვის ყველაზე უმსხვილესი ინვესტორია. თბილისის გარეუბანში მან შექმნა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა სასტუმროებით, კავკასიაში უდიდესი სავაჭრო ცენტრით, გასართობი პარკით, შენდება ქუჩები და მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობები.

ჩინეთი კავკასიის რეგიონის სხვა ადგილებშიც ბევრ ობიექტს აშენებს. მაგალითად, იმავე საქართველოში, შავი ზღვის ნაპირზე, შეიძინა ფოთის ნავსადგური და ახლა მის გაფართოებას ეწევა, რასაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს: სამომავლოდ ფოთში ისეთი დიდი გემებიც შევლენ, რომლებსაც ღრმაწყლოვანი ნავსადგურები სჭირდებათ.

რამდენიმე დღის წინათ ჩინეთის ელჩმა თბილისში გამართულ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. გარდა ამისა, პეკინმა თბილისი სიამინში გახსნილ საერთაშორისო გამოფენაზე განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით მიიწვია. ამჟამად ჩინეთი საქართველოსთვის მესამე სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს.

რასაკვირველია, ჩინეთთან ერთად, საქართველოს სხვა სახელმწიფოებიც დადებითად უყურებენ. მაგალითად, საქართველოში მოქმედებენ გერმანული კომპანიები „კნაუფი“ და „ჰაიდელბერგცემენტი“, ისინი კმაყოფილნი არიან აქაური ბიზნესით. როგორც გერმანიის ბიზნეს-ასოციაციის წარმომადგენელი ოლივერ რეგნერი ამბობს, საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს უცხოელ ბიზნესმენებს და მათთან კარგი ურთიერთობა აქვს.

საქართველოში ინვესტიციები შედის აგრეთვე მეზობელი თურქეთიდან, ირანიდან და რუსეთიდანაც კი, რომელთანაც თბილისის ურთიერთობა იოლი არ არის 2008 წლის მოვლენების გამო, როცა საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სეპარატისტული რეგიონის – სამხრეთ ოსეთის გაკონტროლება გადაწყვიტა. ამ ფაქტმა თბილისსა და მოსკოვს შორის ხანგრძლივი „აცივება“ გამოიწვია.

ჩდრდილოელი მეზობელი საქართველოს დასავლურ პოლიტიკას არ იწონებს და მიიჩნევს, რომ თბილისმა მოსკოვს – ტრადიციულ მოკავშირეს უღალატა. დღეს საქართველოს მოქალაქისათვის რთულია რუსული ვიზის მიღება, მაშინ როცა რუსეთის მოქალაქეები საქართველოსთან უვიზო რეჟიმით სარგებლობენ. ამასთან, საქართველო აგრძელებს თავის პროდასავლურ კურსს და რუსეთთან პრაგმატული დამოკიდებულება აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა რუსებს ქართულ ეკონომიკაში ინვესტიციები მოაქვთ.

„Deutsche Welle“ (გერმანია)

ჩინეთის პროვინციას ქვიშის ქარიშხალმა გადაუარა

უამინდობა ჩინეთში. კაშგარის პრეფექტურას თავს ქვიშის ქარიშხალი დაატყდა. ყველაზე დიდი პრობლემა სტიქიამ ძიასის ოლქის მცხოვრებლებს შეუქმნა, სადაც საავტომობილო მოძრაობა შეფერხდა. ცუდი მხედველობის გამო პარალიზებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილება. ადგილობრივი ხელისუფლება ოლქის მცხოვრებლებს სახლიდან გამოსვლისგან თავის შეკავებას ურჩევს.

კიევმა და თვითაღიარებულმა რესპუბლიკებმა ტყვეები გაცვალეს

დონეცკის ოლქში, კიევსა და თვითგამოცხადებულ დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკების წარმომადგენლებს შორის, ბოლო წელიწად-ნახევრის შემდეგ, ტყვეთა გაცვლა მოხდა.

თვითაღიარებულ რესპუბლიკებს კიევმა 74 ადამიანის სანაცვლოდ, 306 დაკავებული გადასცა. ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ იუწყება. „გაცვლის პროცესი დასრულდა. უკრაინის მხარეს 74 მძევალი გადაეცა, რომლებიც დონბასის ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. ისინი სახლებში დაბრუნდნენ“, - განაცხადა რადაში პრეზიდენტის წარმომადგენელმა ირინა ლუცენკომ. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის მეთაურის, ვასილი გრიცაკის ინფორმაციით, მთლიანობაში დონეცკში, ლუგანსკსა და რუსეთის ფედერაციაში მძევლად კვლავ რჩება 103 ადამიანი. მისი განცხადებით, ეს ადამიანები უკვე სამი წელია, ტყვეობაში არიან.

„თითოეული ამ ადამიანის სახელები ვიცით. არ გავჩერდებით, ვიდრე ყველას არ გავათავისუფლებთ! ჩვენთვის პრიორიტეტულია, ასევე, 402 უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანის მოძიება და მათი დაბრუნება“, - განაცხადა გრიცაკმა.

ლონდონში უამინდობის გამო საჰაერო რეისები შეფერხდა

ლონდონის აეროპორტის მუშაობა ამ დრომდე შეფერხებულია. ამის მიზეზი დითოვლობა გახდა. უამინდობის გამო სტანსტედის აეროპორტში ათობით რეისი გადაიდო, რამაც ათასობით მგზავრს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. მათ ღამის გათევა მოსაცდელში მოუხდათ.

მექსიკაში 27 წლის მოდელი მოკლეს

მექსიკაში ცნობილი ვენესუელელი მოდელი მოკლეს. 27 წლის ანდრეინა ელისაბეტ ესკალონა ღამის კლუბთან მანქანაში ჩაცხრილეს. გოგონა საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე წუთში გარდაიცვალა. მკვლელობის მოტივი ამ დრომდე უცნობია.

თურქეთში სპეცოპერაციის დროს 38 პირი დააკავეს

თურქეთში, ქალაქ ბურსაში, სპეცოპერაციის ფარგლებში პოლიციამ 38 პირი დააკავა, მათ შორის სირიის მოქალაქეები. ისინი „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირში არიან ეჭვმიტანილი. ამის შესახებ სააგენტო „ანადოლუ“ იუწყება. ანტიტერორისტული ოპერაცია ქალაქ ბურსას რამდენიმე უბანში ერთდროულად ჩატარდა.

ბოლივიაში ექიმებმა აქცია გამართეს

მასობრივი არეულობებია ბოლივიაში. ჯანდაცვის რეფორმა სანტა-კრუსში ათასობით ექიმმა და სტუდენტმა გააპროტესტა. აქცია პოლიციასთან შეტაკებით დასრულდა. სამართალდამცველებმა დემონსტრანტთა წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. შეტაკებების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა.

პანკისში გამოძიების იმედი არა აქვთ და ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ

პანკისის სალაფიტური თემის იმამის პრესსამსახურის წარმომადგენლის მურაზ გოდერძიშვილის განცხადებით, ხეობაში იმედი არავის აქვს, რომ გამოძიება, რომელსაც პროკურატურა აწარმოებს, სიმართლეს დაადგენს. გოდერძიშვილი „პირველ რადიოსთან“ საუბარში აცხადებს, რომ ამის თქმის საფუძველს მას ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები აძლევს. მი-

სივე თქმით, დუისში ჩატარებული ხალხმრავალი აქციის შემდეგ ადგილობრივებთან შესახვედრად არც მხარის გუბერნატორი მისულა, არც რაიონის გამგებელი და არც მაჟორიტარი დეპუტატი. გოდერძიშვილის თქმით, მათი სამომავლო ქმედება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება თემირლან მაჩალიკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა:

„გვყავს საერთოდ გამგებელი ან მაჟორიტარი დეპუტატი? ან გუბერნატორი? ეს ხალხი საერთოდ არ გამოჩენილა, რომ ვინმე დაინტერესდეს ჩვენ საკითხთან დაკავშირებით, გაიგონ ხალხს რა უნდათ, რა აწუხებთ და რა აინტერესებთ. რომელ გამოჩენაზე და მოკითხვაზეა საუბარი, სხედან და აქეთ მეორეხარისხოვან და არასრულფასოვან მოქალაქეებად გვთვლიან ... არ გვაქვს გამოძების იმედი, რომ სიმართლე დადგინდება. ერთადერთი თუ იქნება სახელმწიფოს ნება, სიმართლე მაშინ დადგინდება, მაგრამ სახელმწიფოს ნება რომ არ არის, ეს უკვე ჩანს. ბესელია და ვიღაცები გამოდიან და ამბობენ, ყველაფერი კარგად ჩატარდაო, ყველაფერი ნორმალურად არისო. ზევიდანვე ხდება ზეწოლა. რა უნდა გამოიძიოს პროკურატურამ? ვინმე კომენტარს რომ აკეთებს ხეობაში, იმ ხალხს იბარებენ და ათას სისულელეს ეკითხებიან...მომავალში რას ვიზამთ, ეს მხოლოდ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. რასაც ვხედავთ, სიტუაცია ძალიან კრიტიკულია. არ ვიცით, რა იქნება, ველოდებით, რომ მდგომარეობიდან გამოვიდეს, თუ გამოვიდა, რაღა თქმა უნდა...საკითხი არ დგას, თამერლანი დამნაშავეა თუ უდანაშაულო. ფაქტი ის არის, რომ კაცს არ ჰქონდა ხელყუმბარა, ფაქტი ის არის, რომ მწოლიარე ადამიანს პირდაპირ ესროლეს. ამას აპროტესტებს ხალხი, თორემ დამნაშავე არის თუ არ არის, ეს უკვე ცალკე საკითხია“, — განაცხადა „პირველ რადიოსთან“ საუბარში მურაზ გოდერძიშვილმა.

სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ

პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული ბადურ ჩოფანაშვილი ბრალს არ აღიარებს და ახმედ ჩატაევთან ყველანაირ კავშირს გამორიცხავს, — ამის შესახებ ე.წ. მოდულის შენობიდან გამოსვლის შემდეგ ჩოფანაშვილის ადვოკატმა დალი ბარბაქაძემ განაცხადა. ადვოკატის თქმით, ჩოფანაშვილი ამბობს, რომ ახმედ ჩატაევს საერთოდ არ იცნობს და არანაირი შეხება მასთან არ ჰქონია. ჩოფანაშვილის უფლებადამცველი ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალი ტერორიზმის დაფინანსების, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერის ან რესურსით უზრუნველყოფის მუხლით წაუყენეს.

„ჩვენების მიცემას არ აპირებს ამ ეტაპზე, ვიდრე საქმეს არ იცნობს. მერე თუ სურვილი ექნება, დაიკითხება“, — განაცხადა დალი ბარბაქაძემ.

ბრალს არ აღიარებს არც სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული ზურაბ გორნაკაშვილიც. მას ბრალი ე.წ. მოდულის შენობაში წაუყენეს. როგორც გორნაკაშვილის ადვოკატმა ირაკლი ბენიამ განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფს გამოძიება ტერორიზმის დაფინანსებას ან ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარ მატერიალურ მხარდაჭერას ედავება. მისივე თქმით, გამოძიებამ მას მასალები გადასცა, რომელიც საკმაოდ მოცულობითია და შეიცავს გარკვეულ ჩანაწერებს. თუმცა, ადვოკატი აღნიშნული ჩანაწერების შინაარსზე ვერ საუბრობს, ვინაიდან მტკიცებულებებს ჯერ არ გასცნობია.

წითელი ცირკულარით ძებნილმა საქართველოს საზღვარი ყალბი მოწმობით გადმოკვეთა!

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყალბი დოკუმენტის გამოყენების და საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის ბრალდებით თურქეთის მოქალაქე დააკავა. უწყება ამასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1954 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი მ.ო. ყალბი დოკუმენტის გამოყენებისა და საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მის მიერ გაყალბებული პირადობის დამადასტურებელი მოწმობით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა.

ასევე დადგინდა, რომ მ.ო. 2007 წლიდან თურქეთის რესპუბლიკაში, ხოლო 2017 წლის 22 აგვისტოდან ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნება თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვადასხვა დანაშაულისთვის: ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის ჩამოყალიბება და მისი ხელმძღვანელობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ძარცვა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით იარაღის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით დაუფლება და ტარება.

გურჯაანში ბენზინგასამართი სადგურის დაყაჩაღებისას მამაკაცი დაჭრეს

გურჯაანში, სოფელ ბაკურციხეში გვიან ღამით, ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს. ინფორმაცია „ჯიეიჩ-ენს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.

არსებული ინფორმაციით, წაღებულია 1 000 ლარამდე თანხა. შემთხვევს დროს კი, 30 წლამდე მამაკაცი დაიჭრა, რომელიც ბენზინგასამართ სადგურზე მოლარედ მუშაობდა.

მას ცივი იარაღით თავის და ბარძაყის არეში აქვს ჭრილობები მიყენებული. დაშავებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გურჯაანის საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმის განცხადებით, დაჭრილის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ყაჩაღობა გურჯაანში

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყში ლიპარტაშვილების ოჯახი დააყაჩაღეს. მათთან გვიან ღამით, სამი შეიარაღებული პირი შევიდა და ფული და ოქრო მოითხოვა. ნაცემია ოჯახის უფროსი გივი ლიპარტაშვილი, რომელსაც თავში კონდახი ჩაარტყეს. სახლიდან გარკვეული რაოდენობის თანხაა წაღებული. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება. დაკავებული ჯერჯერობით არავინაა.

◎ რა სენი სტანჯავდათ გენიოსებს?

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

გენიალურ კომპოზიტორზე ლუდვიგ ვან ბეთჰოვენზე თანამედროვეები ამბობდნენ, რომ იგი ერთობ ექსცენტრიული ვინმეა, რადგან ვიდრე მუსიკის შეთხზვას შეუდგებოდა, თავს წყლიან ტაშტში ყოფდა ხოლმე. ეს ჩვევა მას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა.

მამამისი იოჰან ვან ბეთჰოვენი საეკლესიო ქოროში მსახურობდა, ამიტომ ვაჟიშვილის იდეალური სმენა თვალთახედვიდან არ გამორჩენია. იმ ხანებში ვოლფანგ ამადეუს მოცარტი დიდების ზენიტში იყო, ამიტომაც მამამ შვილის ასეთივე დიდ კომპოზიტორად გახდომა მოიწადინა. ყმაწვილი დღეში 8 საათს მეცადინეობდა, დაკვრის დროს დაშვებული მცირედი შეცდომის გამო კი ფიზიკურად ისჯებოდა.

სამაგიეროდ, 8 წლის ასაკში ლუდვიგმა უკვე პირველი სოლოკონცერტი გამართა, 12 წლისა კი, თავისუფლად უკრავდა კლავისინზე, ვიოლინოსა და ორღანზე.

1792 წელს 22 წლის ბეთჰოვენი საცხოვრებლად ბონიდან ვენაში გადავიდა, სადაც მუსიკის სწავლა განაგრძო: თავდაპირველად მისი მასწავლებელი ფრანც იოზეფ ჰაიდნი იყო, შემდეგ კი — ანტონიო სილიერი. ორი დიდი კომპოზიტორის გაკვეთილების, ასევე საკუთარი სიბეჯითისა და, რაც მთავარია, უზადო ნიჭის წყალობით, ბეთჰოვენმა მალევე გაითქვა ვირტუოზი პიანისტის სახელი, მოგვიანებით კი თავადაც დაიწყო ოპერებისა და საკონცერტო ნაწარმოების შეთხზვა.

სმენის დაქვეითება ბეთჰოვენს 1796 წელს დაეწყო. მას შემდეგ იგი ყურებში გამუდმებულ ხმაურს უჩიოდა, რომელიც არა მარტო მუსიკის, არამედ მოსაუბრის ხმის აღქმასაც უშლიდა.

თუ რა გახდა ბეთჰოვენის მიერ სმენის დაკარგვის მიზეზი, დღემდე უცნობია. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მას **მენიერის დაავადება** სჭირდა, სხვები ამის მიზეზად **შუა ყურის ანთებას** მიიჩნევს, რომელიც გასამხნევებლად წყლიან ტაშტში თავის ჩაყოფის ჩვევის გამო მოუვიდა, მესამეთა აზრით კი, ეს **სიფილისის** გამო შეემთხვა, რომელიც იმ ხანებში დიდად იყო გავრცელებული, თუმცა კი სჭირდა თუ არა ეს სენი, დანამდვილებით ცნობილი არ არის.

ახალგაზრდობიდან მოყოლებული, იგი კუჭის ტკივილებს უჩიოდა, ხშირად ჰქონდა გულისრევა. კუჭის შეკრულობას კი, შემდეგ აშლილობა მოსდევდა. ვარაუდობენ, რომ ეს **კრონის დაავადების** შედეგი იყო, რომელიც კუჭ-ნაწლავთა სისტემას აზიანებს. ამის მტკიცებად ყვითელას რამდენიმე ეპიზოდი მოჰყავთ, რომელიც მან 1821 წელს გადაიტანა. საქმე ისაა, რომ კრონის დაავადებას ღვიძლის დაავადებები, ციროზიც კი ხშირად ახლავს.



1834 წელს ბეთჰოვენი ძლიერ გაცივდა, რის შემდეგ კვლავ სიყვითლე, გულისრევა, გაუთავებელი ფაღარათი და მუცლის წყალმანკი გაუჩნდა, რომელსაც იმხანად ძალიან მარტივად „კურნავდნენ“ — მუცლის ფარს ხვრეტდნენ და სითხეს იღებდნენ, ზოგჯერ დღეში 20 ლიტრამდე. იარაღების სტერილიზება იმ დროს არ ხდებოდა, ამიტომაც მუცლის იარები გამუდმებით ჩირქდებოდა, მათზე ტყვიის საფენებს ადებდნენ, რაც ორგანიზმს კიდევ უფრო მეტად წამლავდა. ამ „მკურნალობის“ შედეგად ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი კომაში ჩავარდა და 1827 წელს 56 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თანამედროვე მიდგომა:

კრონის დაავადების მკურნალობისას ამჟამად პრეპარატების მთელ კომპლექსს იყენებენ, რომელთა შორისაა სალიცილის მჟავა, გლუკოკორტიკოსტეროიდები, ანტიბიოტიკები, გენური ინჟინერიისა და ჰორმონალური საშუალებები. აღსანიშნავია ისიც, რომ სნეულება რეციდივებით ხასიათდება, ჯანმრთელ ადამიანებთან შედარებით კი, ამ ავადმყოფობით დაავადებულთა შორის სიკვდილიანობის დონე ორჯერ მაღალია.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

ნოდარ ახალკაცი – ძე სიცოცხლისა

გოლი – ხსოვნის კარში!..

1938 წლის 2 იანვარს, ბედობა დღეს, საფეხბურთო სამყაროს უდიდესი წარმატებები დაებედა – დაიბადა ქართული ფეხბურთის რეფორმატორი ნოდარ ახალკაცი.

საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ბატონი ნოდარის მშობლიურ, მისივე სახელობის მე-9 საჯარო სკოლაში დაედო სათავე, სადაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფინანსური მხარდაჭერითა და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის ორგანიზებით სასიქადულო მამულიშვილის ბიუსტი გაიხსნა (ავტორი – მოქანდაკე გოგი შხვაცაბაია).

შეკრებილ საზოგადოებას – ნოდარ ახალკაცის ოჯახის წევრებს, სფფ-ს ხელმძღვანელებსა და ვეტერან ფეხბურთელებს – გამომსვლელებმა მადლიერების სტრიქონებით მიმართეს, ხაზი გაუსვეს ნოვატორი მწვრთნელის დამსახურებას სამშობლოს წინაშე და ლოგიკური თხოვნაც გააჟღერეს – ქართული ფეხბურთის ბერმუხის სახელი დედაქალაქის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს.

დასტურ!

ამ წინადადებას ჩვენი გაზეთიც უერთდება, დღეს კი გთავაზობთ ბატონი ნოდარის ძველი და ერთგული მეგობრების – ნიკო ცაგარეიშვილისა და ირაკლი (იბო) დოლიძის წერილ-მოგონებას ძვირფას თანამემამულეზე.

დიდი მაესტრო 80 წლის გახდებოდა

არიან ადამიანები, რომლებიც ეპოქას ქმნიან. ასეთი იყო დიდი მაესტრო ნოდარ ახალკაცი. ყველამ ჩაიხედოს თავის გულში და აღიაროს, რომ გული ატკინეს, მეტიც – სიცოცხლე მოუსწრაფეს, მაგრამ ახლა გვიანია.



ნოდარის სიტყვებია: გაივლის დრო და ქართული ფეხბურთი თავის სიტყვას იტყვის. არის პრობლემა, რომელიც მთელი ერის წინაშე დგას. არ შეიძლება ფეხბურთი ეროვნულ მოძრაობას გაეთიშოს. ჩვენ ის ხალხი არ ვართ, გვერდზე განვუდგეთ ეროვნულ ჩემპიონატს. სწორედ ეროვნული ჩემპიონატია ერთადერთი წამალი, რომელიც ჩვენს ფეხბურთს ფეხზე დააყენებს. მხოლოდ ნუ დაგავიწყდებათ – დიდი საქმე მსხვერპლს მოითხოვს. ფედერაცია უნდა წავიდეს პროფესიონალიზმის გზით და დარწმუნებული ვარ, ქართული ფეხბურთი მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე გახდება.

როდესაც ნოდარი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს, დაიწყეს მისი კბენა და ღრენა და მის პირად საქმეში ჩარევა. იმ პერიოდში ჩამოვიდა უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, რომელიც ნოდარის საქმიანობას დიდ პატივს სცემდა. როცა სახელმწიფო ფეხბურთის ფედერაციას ეხმარება, კარგია, მაგრამ ცუდია, როცა ხელისუფლება ფედერაციის საქმეში ერევა. თუ ჩაერევა, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, საქმე ფიფას აღმასკომს გადავცეთ, რასაც მოჰყვება უმკაცრესი სანქციები, მაგრამ იუჰანსონმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ფედერაცია დამოუკიდებელი სტრუქტურაა და არავის აქვს უფლება, ხელი აფათუროს მის საქმიანობაშიო.

1993 წლის 17 ივნისს ჟენევაში კარგი ამბავი მოხდა: ნოდარის ძალისხმევით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფას მუდმივ წევრად იღებენ, ხოლო ქართულ გუნდებს ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის უფლებას აძლევენ. ნოდარი გენიოსი კაცი იყო, შორსმჭვრეტელი.

მოსკოვში 1998 წელს უეფას კონგრესზე მიიწვიეს. არ უნდოდა წასვლა. ნეტა ფრენა გადაიდოსო, მაგრამ ფრენა არ გადადებულა. ის ჩაფრინდა მოსკოვში, მაგრამ ცუდად გახდა და მეგობრის მანქანაში დალია სული 25 იანვარს.

დიდი მადლობა, სწორუპოვარო დიდო კაცო, იმისთვის, რომ შენ არსებობდი ამ ქვეყანაზე, რომ მილიონობით ადამიანს ამხელა სითბო და სიყვარული მოუტანე, ერთ მუშტად შეკარი მთელი საქართველო და მსოფლიოს გააგებინე, რომ ქართველებიც თამაშობენ ფეხბურთს.

რჩეულნი

სეზონის ფინიშზე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ განვლილი სეზონის საუკეთესოები გამოავლინა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეროვნული ლიგის 10-ვე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა და 11-მა ფეხბურთელმა, საქართველოს ეროვნული ნაკრების 36-მა მოთამაშემ, სპორტული მედიის წარმომადგენლებმა და საქართველოს ვეტერანმა ფეხბურთელებმა.

სპეციალური პრიზები მიიღეს:

2017 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი **საბა კვერკველია** („ლოკომოტივი“, მოსკოვი, რუსეთი); 2017 წლის სეზონის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი **ნინო სუთიძე** („ატაშეჰირ ბელედიესპორი“, თურქეთი); 2017 წლის სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი **გიორგი ჩაკვეტაძე** („გენტი“, ბელგია); 2017 წლის სეზონის ფუტსალის საუკეთესო მწვრთნელი **ავთანდილ ასათიანი;** 2017 წლის სეზონის ფუტსალის საუკეთესო მოთამაშე **არჩილ სებისკვერაძე** (ლიდსელმაში, ბელარუსი); 2017 წლის სეზონის საუკეთესო მსაჯი **ჯენერი ხორავა**.

გარდა ნომინაციებში გამარჯვებულებისა, ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით, უკვე ტრადიციულად, საპატიო ჯილდო გადაეცათ იმ ადამიანებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ფეხბურთის განვითარებაში.

მასობრივ ფეხბურთში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჯილდო გადაეცათ **თენგიზ კაციასა** და **ავთო შენგელიას,** რომლებიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უახლეს პროექტში „ფეხბურთი სკოლებში“ აქტიურ მონაწილეობას იღებენ. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს რეგიონების 1000 საჯარო სკოლის ფიზ.მომზადების მასწავლებლები გადამზადდნენ, რათა მათ სამომავლოდ, 1-2 კლასის მოსწავლეებს უფასო საფეხბურთო გაკვეთილები შესთავაზონ.

ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სპეციალური პრიზი სპორტულმა ჟურნალისტმა **დავით ქლიბაძემ** მიიღო, რომელიც ათწლეულების მანძილზე მუშაობდა ქართული ფეხბურთისა და, ზოგადად, სპორტის პოპულარიზაციისათვის.

ქართული ფეხბურთის წინაშე გაწეული უზარმაზარი ღვაწლისთვის საპატიო ჯილდო ლეგენდარულ მწვრთნელსა და ფეხბურთის ფედერაციის პირველ პრეზიდენტს **ნოდარ ახალკაცს** გადაეცა. 2 იანვარს ლეგენდარულ საფეხბურთო მოღვაწეს 80 წელი შეუსრულდებოდა. დაჯილდოების ცერემონიაზე საპატიო პრიზი მისმა ვაჟმა, **უმცროსმა ნოდარ ახალკაცმა** მიიღო.

წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე ასევე ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის სეზონის საუკეთესოები გამოავლინეს.

სპეციალური პრიზები მიიღეს:

2017 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა და თავდამსხმელმა **ირაკლი სიხარულიძემ,** რომელიც ასევე 25 გატანილი გოლით ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (თბილისის „ლოკომოტივი“); 2017 წლის საუკეთესო მეკარემ **როინ კვასხვაძემ** (ქუთაისის „ტორპედო“); 2017 წლის საუკეთესო მცველმა **ლაშა თოთაძემ** (თბილისის „დინამო“); 2017 წლის საუკეთესო ნახევარმცველმა **გიორგი ხარაიშვილმა** (თბილისის „საბურთალო“); 2017 წლის საუკეთესო ლეგიონერმა, კოტ დივუარელმა **ანტე გიმ** („სამტრედია“); 2017 წლის საუკეთესო გოლის ავტორმა **გრიგოლ დოლიძემ** (ქუთაისის „ტორპედო“); 2017 წლის საუკეთესო მწვრთნელმა **კახაბერ ჩხეტიანმა** (ქუთაისის „ტორპედო“); ეროვნული ლიგა 2-ის 2017 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა და ბომბარდირმა **დათა სიჭინავამ** („რუსთავი“, 30 გოლი); ეროვნული ლიგა 2-ის 2017 წლის საუკეთესო მწვრთნელმა **ვარლამ კილასონიამ** („რუსთავი“);

GFF AWARDS 2017-ზე სეზონის სიმბოლური ნაკრებიც დასახელდა:

მეკარე: **როინ კვასხვაძე („ტორპედო“);** მცველები: **გიორგი ქიმაძე („ტორპედო“), ლაშა თოთაძე („დინამო“), გიორგი რეხვიაშვილი („ლოკომოტივი“), გიორგი მჭედლიშვილი („სამტრედია“);** ნახევარმცველები: **გიორგი ხარაიშვილი („საბურთალო“), გიორგი კუხიანიძე („ტორპედო“); ოთარ კიტეიშვილი („დინამო“), გრიგოლ დოლიძე („ტორპედო“).** თავდამსხმელები: **თორნიკე კაპანაძე („ტორპედო“), ირაკლი სიხარულიძე („ლოკომოტივი“).**

ყოველწლიურ დაჯილდოებაზე ეროვნული ლიგის „ფენტეზის“ გამარჯვებულებიც დაჯილდოვდნენ. პირველ ადგილზე გასულ გიორგი არჩვაძეს 3000 ლარი გადაეცა, მეორეადგილოსან გაგი კირთაძეს 2000, მესამე ადგილი კი შალვა ჯანაშვილმა დაიკავა და მან ფეხბურთის ფედერაციისგან 1000 ლარი მიიღო.

ღონისძიებაზე ფეხბურთის ფედერაციის პარტნიორმა კომპანია GFM STUDIO-მ, რომელმაც მიმდინარე წელს ეროვნული ლიგის მატჩების ტრანსლაციები განახორციელა, საუკეთესო რესპონდენტი ფეხბურთელი და საუკეთესო რესპონდენტი მწვრთნელი დაასახელა. აღნიშნულ ნომინაციაში სპეციალური პრიზი მიიღეს ქობულეთის „შუქურას“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი შაშიაშვილმა და თბილისის „დინამოს“ კაპიტანმა ოთარ კიტეიშვილმა.

გიორგი ზოთაძე

ჭიდაობა



ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ასპარეზობისას

გამონაკლისი – მხოლოდ ერთისთვის

„ახალი თბილისის“ სასპორტო კომპლექსის ფრენბურთის სასახლემ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა. შეჯიბრებაში, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ გენო პეტრიაშვილის (მძიმე წონა. იგი ნეკნის ტრავმის გამო დაასვენეს) გარდა, ყველა უძლიერესი ფალავანი ცდიდა ძალებს. ტურნირი ახალი ფორმატით, ანუ 10 წონით კატეგორიაში გაიმართა (ტაბლოებიან თბილ დარბაზსა და აზერბაიჯანიდან მოწვეული მსაჯებით) და მედლების ამდენივე კომპლექტი გათამაშდა. ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის 3-გზის ჩემპიონმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ამჯერად 65 კილოგრამში იჭიდავა და ყველა მეტოქეს აჯობა — ფინალში ყვარლელ მაგომედ საიდოვს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ოქროს დებიუტი ჰქონდა ახალ წონაში – 70 კილოგრამში მსოფლიოს ჩემპიონ ზურაბ იაკობიშვილს, რომელმაც გადამწვეტი პაექრობა ხაშურელ ლევან ქელეხსაშვილს მოუგო. ორ წონაში ფინალური ორთაბრძოლები არ გამართულა: 61 კილოში ქუთაისელ ძმებს უნდა ეჭიდავათ, მაგრამ უმცროსი ბექა ლომთაძე უფროს ძმას – ლაშას არ გამოუცხადდა, მძიმე წონაში კი გორელმა ომარ გუსოშვილმა უბრძოლველად დათმო ჩემპიონობა ონელი გიორგი მეშვილდიშვილის სასარგებლოდ.

საბოლოოდ ორდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ოთარ გოგავა (57 კგ, ხონი), ლაშა ლომთაძე (61, ქუთაისი), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (65, გორი), ზურაბ იაკობიშვილი (70, ყვარელი), ავთანდილ კენჭაძე (74, ამბროლაური), იაკობ მაქარაშვილი (79, თბილისი), სანდრო ამინაშვილი (86, გარდაბანი), ირაკლი მწითური (92, თბილისი), ელიზბარ ოდიკაძე (96, თბილისი) და გიორგი მეშვილდიშვილი (125, ონი).

ჩემპიონატის შედეგებით დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრებებში მიიღებს მონაწილეობას. თავისუფალთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი იანტბელიძემ ასპარეზობის დამთავრების შემდეგ აღნიშნა, რომ „ჩემპიონებში ახალი არავინაა, ყველა წონაში იმათ გაიმარჯვეს, ვისგანაც ეს მოსალოდნელი იყო და ვისაც კარგად ვიცნობთ, თუმცა, სასიხარულოა, რომ ბრინჯაოს მედალოსნებში გამოჩნდნენ ახალგაზრდები, რომლებიც სამომავლოდ კიდევ უფრო მეტს თუ გაირჯებიან, ფავორიტებისთვის კონკურენციის გაწევას შეძლებენ“.

ლაშა დიდია

პროკურატურამ 51-ე საჯარო სკოლასთან მომხდარ მკვლელობის ფაქტზე დაკავებულ არასრულწლოვნებს ბრალდება დაუზუსტა

„პროკურატურამ ქ.თბილისის 51-ე საჯარო სკოლასთან მომხდარ არასრულწლოვნების განზრახ მკვლელობის ფაქტზე ბრალდებულ ორ არასრულწლოვანს — გ.ბ-ს და გ.ჯ-ს ბრალდება დაუზუსტა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 1 დეკემბერს, დილის საათებში, ქ.თბილისის 51-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებს დ.ნ-ს, დ.ღ-ს და ამავე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებს ა.ს-ს და თ.ჩ-ს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა, რის გამოც მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა. ა.ს. დახმარებისთვის ნათესავს მ.კ-ს დაუკავშირდა. მ.კ. მეგობრებთან ერთად 51-ე საჯარო სკოლასთან მივიდა. სკოლასთან ასევე შეიკრიბნენ ა.ს-სთან და თ.ჩ-სთან დაპირისპირებული არასრულწლოვნები. დაპირისპირებულმა მხარეებმა ა.ხორავას ქუჩა №4-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში გადაინაცვლეს, სადაც მოზარდებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს გ.ბ-მ და გ.ჯ-მ ჯგუფურად, განზრახ მოკვლის მიზნით, არასრულწლოვან დ.ს-ს სხეულის სხვადასხვა მიდამოში დანების გამოყენებით მრავლობითი ჭრილობები მიაყენეს, რის შემდეგაც გ.ბ-მ განზრახ მოკვლის მიზნით, არასრულწლოვან ლ.დ-ს დანით ჭრილობები მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად ლ.დ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, ხოლო დ.ს. საავადმყოფოში გარდაიცვალა მეორე დღეს.

დაკავებულ არასრულწლოვნებს გ.ბ-ს და გ.ჯ-ს თავდაპირველად ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინათ, ხოლო გამოძიების მიერ მოპოვებული დამატებითი მტკიცებულებების საფუძველზე 2017 წლის 27 დეკემბერს ბრალდებულებს ბრალი დაუზუსტდათ. გ.ბ-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, ასევე ორი ან მეტი პირის მიმართ, ჩადენილი ჯგუფურად), ხოლო გ.ჯ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ჩადენილი ჯგუფურად) წარედგინათ.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო“.

სკოლებში მოსწავლეთა აგრესია გრძელდება

„ჩანთამოკიდებულს მიეპარნენ ზურგიდან, დააგდეს იატაკზე, უმოწყალოდ ურტყეს წიხლები თავში“.

118-ე სკოლის მოსწავლის მშობელი სკოლაში მომხდარი ინციდენტის შესახებ სოციალური ქსელით ინფორმაციას ავრცელებს. დედის განცხადებით, ბავშვი მეოთხე დღეა იაშვილის კლინიკაში იმყოფება, რადგან სკოლაში მომხდარი ჩხუბის დროს დაზიანებები მიიღო.

„დილით, კლასში შესვლისთანავე, ჩანთამოკიდებულს მიეპარნენ ზურგიდან, დააგდეს იატაკზე, უმოწყალოდ ურტყეს წიხლები თავში და რომ არა შეძახილები „მასწავლებელი მოდის“, ღმერთმა უწყის, რა უბედურება დატრიალდებოდა... დროის გასვლასთან ერთად, ბავშვს ჩივილები მოემატა და დაეწყო ცნობიერების კარგვა, გადაგვიყვანეს იაშვილის კლინიკაში, დღეს ვაკეთებთ ელექტრომაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას თავზე“, — წერს მშობელი.

ინციდენტს ადასტურებს სკოლის დირექტორი გიული შენგელია, რომლის თქმითაც, ჩხუბი დაახლოებით ორი კვირის წინ მოხდა და ინციდენტი მალევე ამოიწურა. მომხდარზე განმარტება გააკეთეს განათლების სამინისტროშიც:

„როცა კლასის დამრიგებელი მეორე გაკვეთილის შემდეგ ბავშვებთან მივიდა, მოსწავლეებისგან გაიგო აღნიშნული ჩხუბის თაობაზე. ბავშვებს გარეგნულად ჩხუბის კვალი არ ეტყობოდათ. ბავშვებმა განაცხადეს, რომ ისინი მეგობრები არიან და არ უჩხუბიათ. რამდენიმე დღის შემდეგ დამრიგებელთან მივიდნენ მშობლები და უთხრეს, რომ ბავშვს თვალი აქვს ჩალურჯებული. თუმცა ჩალურჯებული თვალი პედაგოგს მანამდე არ შეუმჩნევია. ამავე დღეს საბას დედა შეხვდა სკოლის დირექტორს და შვილის პარალელურ კლასში გადაყვანა სთხოვა. დირექტორმა მშობელს აუხსნა, რომ ვინაიდან მეხუთე კლასების საკლასო ოთახები ერთმანეთის გვერდით მდებარეობდა, კლასის შეცვლა შედეგს ვერ გამოიღებდა. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, ბავშვი იმავე კლასში დარჩენილიყო ყურადღების ქვეშ. რამდენიმე დღის შემდეგ, საბა კანტიძე გადავიდა №119 საჯარო სკოლაში. №118 სკოლის დირექტორმა 25 დეკემბერს დღის ბოლოს გაიგო, რომ საბა გადაყვანილი იყო საავადმყოფოში. დაუკავშირდა მშობელს, რომელმაც განაცხადა, რომ ბავშვი მოთავსებულია საავადმყოფოში თავთან დაკავშირებული პრობლემებით და არის ეჭვი, რომ ტრავმა მიღებულია სკოლაში ჩხუბის დროს. თუმცა, ეს ეჭვი ჯერჯერობით დადასტურებული არ არის“, — განმარტავენ განათლების სამინისტროში.

◎ ხალხური მედიცინა

გაიწმინდეთ სახსრები

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ხალხური მედიცინის უამრავი რჩევა თუ რეცეპტი, ბევრი სნეულებისა თუ ორგანიზმის სისუსტის უებარი წამალია. ამ ჯერზე იმ ხილისა და ბოსტნეულის შესახებ მოგითხრობთ, რომლებიც სისხლძარღვებს წმენდენ.

ბროწეულის წვენი. ბროწეული და მისი წვენი მდიდარია ათეროსკლეროზთან მებრძოლი ანტიოქსიდანტებით.

ნიორი. მისი თავის მეოთხედი ნაწილი (იგი კომპონენტ ალიცინის 4 ათასი მიკროგრამს შეიცავს), სისხლში ქოლესტერინის შემცველობას ამცირებს, ასევე აქვეითებს არტერიულ წნევას და ხელს უშლის ტრომბების წარმოშობას.

ისპანახი. იგი ლუთეინითაა მდიდარი და ქოლესტერინის ბალთებისგან სისხლძარღვების კედლების გასუფთავებით ინფარქტსაწინააღმდეგო მოქმედება აქვს.

კურკუმა. ის მნიშვნელოვნად აცხრობს ანთებასა და კურნავს არტერიული კედლების დაზიანებებს.

დარიჩინი. საკმარისია დღეში ერთი ჩაის კოვზი დარიჩინის მიღება, რათა აორტაში ბალთების წარმოშობას თავი აარიდოთ.

პომიდორი. ეს ბოსტნეული მდიდარია ანტიოქსიდანტ ლიკოპინით, რომელიც ათეროსკლეროზს 50 პროცენტით ამცირებს.

კენკრა. მარწყვი, შავი და ლურჯი მოცვი ასევე მაყვალი ხელს უშლიან ათეროსკლეროზის წარმოშობას.

ვაშლი. პექტინი ქოლესტერინის დონეს ამცირებს, რასაც ნაღვლის მჟავის ნაწლავებში შთანთქმის გზით ახდენს.

ავოკადო. ამ ხილის ყოველდღიური მოხმარება ქოლესტერინის შემცველობასა და არტერიულ წნევას აქვეითებს.

ფორთოხლის წვენი. უშაქრო ასპროცენტიანი ფორთოხლის წვენის ყოველდღიური მოხმარება ხელს უწყობს არტერიული წნევის სტაბილურობას.

ნინო ალექსანდრია

სანთელი

ბორის სარალიძე ოჯახით განუზომელი მწუხარებით იუწყება დიდებული მამულიშვილის, ჩვენი ქვეყნის წინაშე დიდად ვალმოხდილი, უკეთილშობილესი პიროვნების

კოტე ზალდასტანიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დონარა სალაძე, რევაზ, ირაკლი, ეკა ჩაგელიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღირსებით სავსე მამულიშვილის, ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, ყოველმხრივ ლამაზი პიროვნების

კონსტანტინე (კოტე) ზალდასტანიშვილის

გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაუგრძნობენ ოჯახს.

საქართველოში მიწისძვრა მოხდა

თბილისიდან 35 კმ-ში, თეთრიწყაროს რაიონში 2.5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. ინფორმაციას დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და ეროვნული სეისმური ცენტრი ავრცელებს. — მათი ინფორმაციით, მიწისძვრა თბილისის დროით 11:04 საათზე მოხდა. მიწისძვრას ნგრევა არ მოჰყოლია.

საფრანგეთში ქართველმა ქართველი დაჭრა

ფრანგმა სამართალდამცველებმა სპეცოპერაციის შედეგად საქართველოს მოქალაქე დააკავეს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ის ლონჟედუას დასახლებაში მდებარე თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში საქართველოს მეორე მოქალაქის დაჭრაშია ეჭვმიტანილი.

წინასწარი ინფორმაციით, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი მამაკაცები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რის შემდეგაც ერთ-ერთმა ცივი იარაღი გამოიყენა. 33 წლის დაჭრილი კრიტიკულ მდგომარეობაში საავადმყოფოშია გადაყვანილი. ინციდენტის შემდეგ ეჭვმიტანილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მისი ძებნა მთელი ღამის განმავლობაში, კინოლოგების დახმარებით მიმდინარეობდა.

ვაკეში ბინა დააყაჩაღეს

ვაკეში, მარუხის ქუჩის 13 ნომერში ყაჩაღობა მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ნიღბიანმა და შეიარაღებულმა პირებმა ახლადაშენებული კორპუსის მეშვიდე სართულზე მდებარე ბინა დააყაჩაღეს. წაღებულია თანხა. სავარაუდოდ, 1000 ევრო და 2500 ფუნტი. დაზარალებულები ამ დროისათვის ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში დაკითხვაზე იმყოფებიან.

დანაშაული 8-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ტარდება საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა ჯერჯერობით დაკავებული არავინაა.

უბედური შემთხვევა ანაგაში

სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში უბედურ შემთხვევას 11 წლის მოზარდის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ტრაგედიის მიზეზი აფეთქება გახდა — ოჯახში, სადაც კუსტარულად დამზადებული შესადუღებელი აპარატისთვის განკუთვნილი კარბიდის ბალონი ინახებოდა, 11 წლის ბიჭმა სანთებელა აანთო, რასაც კარბიდის აფეთქება მოჰყვა. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ბიჭი წნორის „არქიმედეს“ კლინიკაში გადაიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გომარდულში ტურისტული სეზონი იხსნება

30 დეკემბერს კურორტ გომარდულში ტურისტული სეზონი გაიხსნება. 5-წლიანი პაუზის შემდეგ კურორტი ვიზიტორების მიღებას ისევ შეძლებს. გახსნის ღონისძიებები კურორტზე 15:00 საათზე დაიწყება და 21:30 საათამდე გაგრძელდება.

ღონისძიების ფარგლებში გომარდულში მოეწყობა საახალწლო დეკორაციები, განათება, სცენა და კვების ობიექტი, დაიდგმება ნაძვის ხე, დაინთება კოცონი, იქნება ცოცხალი მუსიკა, ფოლკლორი, ბენდები, DJ და ფოიერვერკი. სტუმრებს საშუალება ექნებათ, ისრიალონ თხილამურებზე, მოუსმინონ მუსიკას, დააგემოვნონ ადგილობრივი კერძები და სასმელები. ბავშვებისთვის დაგეგმილია სხვადასხვა თამაშები და სახალისო აქტივობები. ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე გახსნის. მას მთავრობის წევრები, გიდები, ტურისტული კომპანიებისა და ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები დაესწრებიან.

ციტრუსის ფესტივალი ქობულეთში

საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში ქ. ქობულეთის ცენტრალურ მოედანზე ციტრუსის ფესტივალი 2017 გაიმართა.

აჭარის სოფლის მეურნეობისა და „აგროსერვის ცენტრის“ ორგანიზებით გამართულ ციტრუსის ფესტივალში მონაწილეობა მიიღო რეგიონში მოქმედმა 40-მდე კომპანიამ და ფერმერმა. მონაწილე კომპანიებმა საკუთარი პროდუქცია ფართომომხმარებლებს გააცნეს.



ფესტივალი გამოირჩეოდა ხალხმრავლობით. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ციტრუსის ნაყოფისაგან შექმნილმა გიგანტურმა ფიგურებმა, რომლებიც აჭარისთვის დამახასიათებელ სიმბოლოებს გამოსახავდნენ.

ფესტივალს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე, ქობულეთის მერი მირიან ქათამაძე, აჭარის მთავრობის წევრები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ციტრუსის ფესტივალზე დაჯილდოვდნენ ღვაწლმოსილი და ახალგაზრდა მეციტრუსე ფერმერები, ასევე გამოვლინდნენ საუკეთესო ციტრუსის ბაღების მფლობელები ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში. მოეწყო გასართობი და სპორტული თამაშები.

დასკვნით ნაწილში საზეიმო განწყობა შექმნეს ანსამბლებმა „მაჭახელა“ და „მხედრული“. ზურაბ პატარაძემ ასევე დაათვალიერა საახალწლოდ მორთული ქობულეთის ცენტრალური მოედანი და ქობულეთის მერისგან მოისმინა ინფორმაცია დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებების შესახებ.

25 დეკემბრიდან ქობულეთში ყოველდღიურად იმართება საბავშვო-გასართობი ღონისძიებები. 31 დეკემბერს ღამით კი გაიმართება საახალწლო კონცერტი ნინი ბადურაშვილისა და თაკო გაჩეჩილაძის მონაწილეობით.

ჩუღურეთის რაიონში ახალი სკვერი გაიხსნა

ჩუღურეთის ვერჰარნის ქუჩის №7-ში ახალი სკვერი გაიხსნა. კეთილმოწყობილი დასასვენებელი სივრცე ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა ზურაბ ჩიკვილაძემ თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროს გიგა გიგაშვილთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში, საბავშვო მოედანი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოეწყო. ასევე, დამონტაჟდა განათებები, სავარჯიშო ტრენაჟორები, სავალი ბილიკები კი, დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა.

ჩუღურეთის რაიონის გამგებლის განცხადებით, სკვერების რეაბილიტაცია მომავალ წელსაც გაგრძელდება.

ჩუღურეთის რაიონში ახალი სკვერის გახსნას თბილისის საკრებულოს დეპუტატი რიმა ბერაძე და პარლამენტის წევრი გიორგი ვოლსკი ესწრებოდნენ.

მიმდინარე წელს, ჩუღურეთის რაიონს ექვსი ახალი სკვერი შეემატა, არსებულ 33 სკვერს კი, აღდგენა-რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ნიჭიერება და დამნაშავეობა

ნიჭიერი ხალხი სიცრუისადმი ყოფილა მიდრეკილი.

ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ არასტანდარტული აზროვნება ხშირად არაეთიკური მოქცევის მიზეზი ხდება. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ნიჭიერი ადამიანები იშვიათად არიან სამაგალითო მეოჯახეები.

ამ გარემოებას მკვლევარები იმით ხსნიან, რომ როგორც გენიალობის, ასევე დანაშაულებრივი გონების მომართვის მქონეთა ხასიათის ერთ-ერთი მკვეთრად გამორჩეული ნიშანია ორიგინალობისადმი მისწრაფება.

უშუამავლოდ?!

ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მამაკაცთა სპერმაში სპერმატოზოიდების რიცხვი სულ უფრო მეტად მცირდება, — ამტკიცებენ იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის მეცნიერები.

ეს დასკვნა მათ 200 დამოუკიდებელი კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიტანეს. განვითარებული ქვეყნების მამაკაცების სპერმაში სპერმატოზოიდების საერთო რიცხოვნობა ბოლო 40 წლის მანძილზე 59,3 პროცენტით შემცირდა. თუკი ტენდენცია შენარჩუნდება, უახლოეს დროში კაცობრიობა შესაძლოა, გადაშენების პირას აღმოჩნდეს, — აცხადებენ სწავლულები.

მამაკაცის სპერმის ხარისხზე მოქმედებს სიმსუქნე, თამბაქოს მოწევა, სტრესები. მეტიც, ძლიერი სქესის უშვილობაზე ტელევიზორის დიდი ხნის მანძილზე ცქერაც კი უარყოფით ზეგავლენას ახდენს. თუმცა კი ყველაზე ცუდი შედეგი მაინც ტოქსიკური შენაერთების, პესტიციდებითა და პლასტიკით გარემოს დაბინძურებას მოაქვს.

სილამაზის საუკუნოვანი გრძელი გზა

ყველა დროში სილამაზის სხვადასხვა ნორმები იყო, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებშიც განსხვავდებოდა.

მაგალითად, **ძველ ეგვიპტეში** ფასობდა ხშირი წარბები, რომლებსაც დარიშხანით იხატავდნენ და თვალების ბრწყინვალება, რასაც ლამაზმანები **ბელადონას** ჩაწვეთებით აღწევდნენ. ამის გარდა მიჩნეული იყო, რომ ქალბატონებს ღაჟღაჟა ლოყები შვენით, რასაც ეგვიპტელი ბანოვანები კანის დიდად გამღიზიანებელი ირისის წასმით აღწევდნენ.

რომაელები და **ბერძნები** სილამაზის ეტალონად ვენერა მილოსელს მიიჩნევდნენ, რომლის პროპორციები აშკარად არ შეესაბამება დღევანდელ სტანდარტებს: მისი სიმაღლეა 164, მკერდის გარშემოწერილობა — 89, თეძოების — 93, წელისა კი — 69 სანტიმეტრი.

შუასაუკუნოვან **ევროპაში** ქალი ფერმკრთალი, გრძელკისერა და... ორსული უნდა ყოფილიყო. ფერმკრთალობის მისაღწევად იმდროინდელი ლამაზმანები ძმარს სვამდნენ, კისრის ვიზუალურად დასაგრძელებლად თმებს იპარსავდნენ, ხოლო ფეხმძიმობის საიმიტაციოდ კაბის ქვეშ ბალიშებს იდებდნენ.

შემდეგ მოვიდა **აღორძინების ეპოქა**, რა დროსაც მოდაში შემოვიდა ფაშფაშა მკლავები და თეძოები, რომელსაც მოჰყვა **როკოკოს ხანა**, როცა სახეზე წასმული თეთრას სქელი ფენების გამო, სახეები ნიღბებს გავდა. შემდეგ მოდაში ისევ სილამაზის ანტიკური სტანდარტები შემოვიდა.

მაგრამ ყველაზე სწრაფად ქალის სილამაზის სტანდარტები **მე-20 საუკუნის** შუა ხანებიდან იცვლებოდა: ამ ხნის მანძილზე საშუალოზე დაბალი მერილინ მონროდან — 175 სანტიმეტრზე მაღალ სუპერმოდელობამდე გზა გაიარა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5876; ევრო - 3.0759;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4676;
100 რუბლი - 4.4705; თურქული ლირა - 0.6765;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5226;
1000 სომხური დრამი - 5.3696.

ამინდი 29 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge